ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 23 მარტი, 2023 №58 (9094) ფასი: 80 თეთრი

გვ.4

შსს: „თავი შეიკავეთ პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაციისგან“

პოლიციამ თავდასხმის ინსცენირებით, დიდი ოდენობით სამსახურებრივი ტანსაცმლის უკანონოდ დაუფლების ბრალდებით ფა-ძმა დააკავა

გვ.5

„ხაბეიშვილის აქციაზე ოპოზიციიდან არავინ არ მივა“

გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „მარგველაშვილის დრო გავიდა. როცა პრეზიდენტი იყო, შეეძლო, ყოფილიყო რაღაცა ფლანგის ლიდერი, მაგრამ გუნდური თამაში არ ემარჯვება“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „არაფერი არ გამოვა ქუჩაში მასობრივი გამოსვლების გარეშე. ქუჩიდან უნდა შევძლოთ სამართლიანი საარჩევნო სისტემის შემუშავება და ვადამდელი არჩევნების მიღწევა“

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სომხეთზე უფრო დიდი პრორუსული პოლიტიკა განახორციელა“

გვ.3

დასავლეთმა პუტინის იზოლაცია გადაწყვიტა

მამუკა გამყრელიძე: „რუსეთი ამ ომში საბოლოოდ მაინც დამარცხდება. უბრალოდ, ეს დროის ამბავია“

„ეს მთელი „რუსული სამყაროსთვის“ შავი ნიშანია“

გვ.4

„პუტინს მოლაპარაკებათა მაგიდასთან აღარავინ აღარ დაუჯდება“

მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად სამთავრობო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა

გვ.4

გვ.3

„იძულებული ვხდებით, მივმართოთ პენიტენციარულ სამსახურს, შეაფასოს პაციენტ მიხეილ სააკაშვილის კლინიკაში შემდგომი დაყოვნების მიზანშეწონილობა“

გვ.5

ლევან მეტრეველი: „რესპუბლიკურ საავადმყოფოს ხელი არ უნდა ახლო“

გვ.5

მეცხოვნეებმა დაწესებულების ტერიტორიაზე ზურგჩანთიანი მტრედი დაიჭირეს

გვ.5

ლეგენდარული მხატვრის ნახატს 50 წელი სარდაფში მტვერი ედებოდა

1993230720223

5 მამაკაცს, რომელიც მუხიანში ერთ-ერთი კორპუსის ლიფტში გარდაცვლილი იპოვეს, სხეულზე, სავარაუდოდ, დამწვრობა აღენიშნება

2 ხატია დეკანოიძე: „პარტიის დატოვებაზე ნაფიქრი მაქვს“

4 თბილისში, იყალთოს ქუჩაზე, კორპუსში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა

6 რას ნიშნავს ჩეხეთის პრეზიდენტის განცხადება

„ხაბეიშვილის აქციაზე ოპოზიციიდან არავინ არ მივა“

დავით ზურაბიშვილი: „მარგველაშვილის დრო გავიდა. როცა პრეზიდენტი იყო, შეეძლო, ყოფილიყო რაღაცა ფლანგის ლიდერი, მაგრამ გუნდური თამაში არ ემარჯვება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.

– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს „ქართული ოცნება“ ანგარიშსწორებაზეა გადასული, დასდევს სტუდენტებს, აშანტაჟებს. ვერაფერი ისწავლა ბოლო მოვლენებით ხელისუფლებამ? რასთან გვაქვს საქმე, რას ცდილობენ?

– მე მგონია, ყველაფერი ძალიან ბუნებრივი და ლოგიკურია, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, იმის გათვალისწინებით, თუ ვისთან გვაქვს საქმე, ანუ ჩვენ ხომ რეალურად პარტიასთან და თანამოაზრეთა გუნდთან არ გვაქვს საქმე. ჩვენ გვაქვს საქმე ერთ ადამიანთან, მის რაღაც კომპლექსებთან, შიშებთან, ემოციებთან და რაღაც გეგმებთან. ყველა დანარჩენი, ვინც შეადგენს მთავრობას, პრემიერ-მინისტრით დაწყებული, პარლამენტითა თუ ტროლ-ბოტებით დამთავრებული, რომლებიც ვიღაცის გასაშავებლად მუშაობენ, ეს არის ამ ადამიანის ნების გამოვლენა, მისი დაკვეთის შესრულება. თავისი აზრი ხელისუფლებას არა აქვს. ეს არის ბიძინა ივანიშვილის აზრი.

– და როგორია ივანიშვილის აზრი და შეხედულება?

– ეს ისედაც ჩანს. ხელისუფლება თავის საქმიანობას აგრძელებს ისე, თითქოს ეს კანონი არ გაუწვევიათ უკან, ანუ კვლავაც მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო აქტივისტების დისკრედიტაცია.

– ასევე, სტუდენტების ლანძღვა.

– დიახ, ამ ყველაფერში ერთადერთი სიახლე ეს არის, სტუდენტებსა და ახალგაზრდებზე აქცენტის გაკეთება. თითქოს ეს სტუდენტები იყვნენ არანორმალური მასა, რომელიც ვერაგმა ნაციონალებმა გამოიყენეს ისე, რომ კანონიც არ წააკითხეს, დააჯერეს, რომ ხელისუფლება ცუდ საქმეს აკეთებდა.

– უნივერსიტეტებში ჩაბუდებული ნაცი ლექტორებიო.

– მაგაზე რომ გააკეთეს განცხადება, მეც გამომიყვანეს ჩაბუდებულ ნაცლექტორებში. რა გითხრათ, ეს განცხადებები უკვე სასაცილოც აღარ არის.

– ამიტომ დასჭირდათ განათლების სამინისტროში მძიმე ხელი და დასასჯელად მივლენილი. რამდენად გამოუვა ეს ყველაფერი ამილახვარის ხელით?

– არა მგონია. ეს არის სრული სიგიჟე. უბრალოდ, არ არსებობს მექანიზმები, რომ ვინმეს გამოუვიდეს. როგორ უნდა აიძულოს სტუდენტები, ჰყავდეს მორჩილებაში? ამას სჭირდება ძალიან დიდი რესურსი. ეს მიზანი თუ გაქვს, ჯერ ერთი, უნდა აკონტროლებდე რექტორატსა და თვითმმართველობის არჩევნებს უნივერსიტეტების შიგნით. ეს შეუძლებელია, თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შენი არ არის. გარდა ამისა, უნივერსიტეტში უნდა გყავდეს უშიშროება ოდეერების სახით, რომელიც ასევე გააკონტროლებს, რექტორატი წესიერად იქცევა თუ არა. სააკაშვილის მმართველობის დროს იყო ზუსტად ასე. თუმცა მათ თავიდანვე ასე დაიწყეს. განათლების რეფორმის პირველივე დღიდან უნივერსიტეტებში იყო

„როცა ორმხრივი ზეწოლაა, ხალხისა და დასავლეთისგან, ივანიშვილი ყოველთვის უკან იხევს“

მკაცრი კონტროლი, უშიშროება. ის სტუდკავშირები, რომლებიც მაშინ უნივერსიტეტებს შიგნით იყო, ყველამ იცოდა, რომ ის იყო ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციები და ასე აკონტროლებდნენ. აქ ცოტა სხვა ვითარება გვაქვს. 2012 წლის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ბიძინა ივანიშვილს ეს სფერო მაინცდამაინც არ აინტერესებდა.

– ანუ მიუშვა ნებაზე?

– კი, მიუშვა. წავიდა ბუნებრივი და ნორმალური პროცესი. ნაციონალების დროს პირადად მე ლექციებს მარტო ერთი უნივერსიტეტი მაძლევდა. ის კი არა, ლევან ბერძენიშვილს არ აკითხებდნენ ზოგიერთი უნივერსიტეტები ლექციებს. პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ლექტორების შავი სიაც კი ჰქონდათ. 2012 წლის შემდეგ ეს მოისპო და წავიდა ბუნებრივი პროცესი. ამის უკან შემობრუნება აბსოლუტურად შეუძლებელია. ახლა როგორ წარმოგიდგენიათ, რომელიმე უნივერსიტეტში განათლების მინისტრმა დანიშნოს რექტორი. ეს თითქმის წარმოუდგენელია. ერთადერთი, შეუძლია ილიას უნივერსიტეტში და ჯავახიშვილში. ჯაბა სამუშიაზე ისედაც ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლების ოპონენტია, მაგრამ ყველაზე მეტნი სწორედ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ გამოსული. ამიტომ ეს არის აბსოლუტურად შეუძლებელი ამოცანა. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი ახალ მინისტრს ამ ამოცანას დაუსახავს, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია ამის გაკეთება. ვერ გააკეთებენ.

– შესაძლოა, ისევ სერიოზული პროტესტი მიიღონ?

– თუ ჩარევის მცდელობა იქნება, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზულ პროტესტს მიიღებენ. არა მარტო ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარედანაც ძალიან სერიოზული ზეწოლა მოჰყვება ამას. ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, ჩავთვალოთ, რომ დამთავრებულია. მეორე მთავარი მომენტი – ეს არის ხელისუფლება, რომელმაც საერთოდ არ იცის ახალგაზრდა თაობის ენა, საერთოდ არ იცნობს ამ თაობას, არავითარი საერთო არა აქვს მათთან. ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება, უფრო ზუსტად, გვყავს ის ერთი კაცი. ვინც ბიძინა ივანიშვილს იცნობს, ის არის გასული საუკუნის 80-იანი წლების მენტალობის ადამიანი. ისევ იქ არის. თვითონ ცხოვრების წესიც ასეთი აქვს მაგ ადამიანს. სოციოპათიური ტიპია, არ უყვარს საზოგადოება და არ არის თანამედროვე ტიპი. გარდა იმისა, რომ ძველი თაობის ადამიანია, მთელი მისი ცოდნა, გამოცდილება და უნარები რაც აქვს, ყველაფერი შეძენილი აქვს 80-იანების დასაწყისში. მაგ მეთოდებით მართავს ქვეყანას, მაგ მეთოდებით ეპყრობა გარემოცვას და მაგ მეთოდებით აფასებს ბევრ რამეს. პოლიტიკაშიც იყო, მაგრამ ვერ შეძლო რაღაცების სწავლა. სხვათა შორის, თავიდან ასე იყო კახა ბენდუქიძეც, არ იყო დიდი განსხვავება მათ შორის. ბენდუქიძესაც დიდი ჰქონდა რუსული გავლენები, მაგრამ მან შეძლო დროისა და ჩვენი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნა და ფეხის აწყობა. ბენდუქიძე ბევრად ახლოს იყო პუტინთან, ვიდრე ივანიშვილი. მან ალღო აუღო აქაურ სიტუაციას. ბიძინამ ეს ვერ შეძლო, ვერ გადაეწყო და ვერ მოერგო თანამედროვე რეალობას.

– დასავლეთი პოლარიზაციის აღმოფხვრისკენ მოგვიწოდებს, თუმცა ვხედავთ, რომ ეს უფრო და უფრო ღრმავდება. რა გამოასწორებს ამ სიტუაციას?

– არა, ეს არ აღმოიფხვრება, არაფერი ამას არ გამოასწორებს. ხელისუფლება აბსოლუტურად მორალურად გაკოტრებულია, არანაირი პოზიტიური რესურსი, რომ რამე შეცვალოს, არა აქვს. ერთადერთი, შეიძლება, თუ ბიძინა ივანიშვილი დადგება იმ ჭკუაზე, რომ ბოლო მომენტში, არჩევნების წინ გამოცვლის კობახიძეებს და მოიყვანს შედარებით უფრო ისეთ ადამიანებს, რომლებიც ასეთი გამაღიზიანებლები არ არიან.

– ახლა, ამ ეტაპზე არ იქნება ეს ცვლილებები?

– არა. რომც ჰქონდეს ჩაფიქრებული, ეს იქნება სათადარიგო ვარიანტად არჩევნების წინ. ის ჯერჯერობით გააგრძელებს ამ ხაზს, ანტიდასავლურსა და, ფაქტობრივად, პრორუსულს. მე ახლა ეჭვი მაქვს, რომ ჩინეთის პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ რუსეთში ჩვენი ხელისუფლება პროჩინურიც გახდება. ჩინური ორიენტაციაც შემოვა ნელ-ნელა ჩვენში. მთავარი მომენტია, რომ ცდილობენ, დასავლეთს ევაჭრონ ბოლომდე, რომ აი, ასეთი ვარ და ასეთი მიმიღეთ, თუ არ მიმიღებთ, აგერ არის რუსეთი და ჩინეთი. ამას აკეთებენ, თუმცა, როცა დასავლეთი მას ძალიან სერიოზულად უპირისპირდება, უკანდახევაც იცის ბიძინამ. 9 მარტის უკანდახევა სწორედ ეს მომენტი იყო. ორმხრივი ზეწოლა როცა არის, ხალხისა და დასავლეთისგან, ასეთ დროს ყოველთვის უკან იხევს. თუმცა ახლა გააგრძელებს იმავეს და წელს საერთოდ ასე იქნება, უფრო და უფრო უარესად მოიქცევიან. თუ კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეს, შეეცდებიან, ეს დააბრალონ ოპოზიციას, ხოლო თუ მოგვცეს, საკუთარ გამარჯვებად მიიწერენ.

– ვადამდელ არჩევნებზე რას ფიქრობთ? აქტიურად განიხილავს ამ საკითხს ოპოზიციის ერთი ნაწილი.

– ვადამდელი არჩევნები ყველა ვარიანტში გამორიცხულია. ახლა ამის გამკეთებელი არავინ არ არის. ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, მათ გარეშე კი სხვანაირი მექანიზმი არ არსებობს. ყველაფერს თავისი მექანიზმი აქვს. კანონით არის გაწერილი, რა შემთხვევაში შეიძლება ვადამდელი არჩევნების ჩატარება. ასე არ არის, მოგინდეს და ჩაატარო. ამისთვის საჭიროა, პრემიერ-მინისტრი გადადგეს. ორი ვარიანტია: ერთია მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, მეორეა, ბიუჯეტს რომ არ მიიღებ. ბიუჯეტის არმიღებაზე ლაპარაკი არ არის. ეს ვერ მოხდება, უბრალოდ, 2024-მდე. პრემიერი თუ გადადგა, მერე ორი თუ სამი მცდელობაა ახლის არჩევისა და, თუ ვერ აირჩიეს, მერე ინიშნება ვადამდელი. ყველა ვარიანტში ეს ამ შემოდგომამდე ვერ მოხერხდება და, რომც მოხერხდეს, 2024 წელს მაინც თავიდან უნდა იყოს არჩევნები, ანუ ერთწლიანი ხელისუფლებაც კი არ იქნება. ამიტომ არანაირი აზრი არა აქვს. ოპოზიციისთვის აზრი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას ექნებოდა რეალური ძალაუფლება და, უბრალოდ, ეს იქნებოდა მისი რეალური ძალაუფლების გაფორმება, თუმცა, მიუხედავად ხელისუფლების ძალიან მზარდი არაპოპულარობისა, ოპოზიციურ ფლანგზეც სასიკეთოს ვერაფერს ვხედავთ.

– მარგველაშვილი გამოვიდა გაერთიანების ინიციატივით, თუმცა მანაც განმარტა, კონკრეტული პარტიები თუ პერსონები ვისთან არ ითანამშრომლებენ.

– მარგველაშვილის პოლიტიკურ აქტივობებს ძალიან უარყოფითად ვუყურებ. მას პრინციპულად არ ესმის პარტიული პოლიტიკა, არც აქვს ამის სურვილი. ის ყოველთვის ცდილობს, თვითონ მოხვდეს დიდ გაერთიანებაში და პერსონალურ მომენტებზე აკეთებს აქცენტებს. მისი გამოსვლები აბსოლუტურად არაკვალიფიციურია. გავიდა მარგველაშვილის დრო. როცა პრეზიდენტი იყო, მას შეეძლო, ყოფილიყო რაღაცა ფლანგის ლიდერი, მაგრამ გუნდური თამაში არ ემარჯვება. მე ვიტყოდი, რომ ბოლო დროს მისი როლი უფრო დესტრუქციულია, ვიდრე კონსტრუქციული, ვერც რეალისტურ გეგმებს გვთავაზობს. აჯობებს, ყველამ თავისი მსგავსი იპოვოს. მე როგორც ვხედავ, ქართული ოპოზიციური სპექტრი ვერ გაერთიანდება. ეს გამორიცხულია.

– რას იტყვით ნაცმოძრაობის მიერ დაანონსებულ 9 აპრილის აქციაზე?

– ხაბეიშვილის გამოცხადებულ აქციაზე არ მივა არავინ, გარდა მათი მომხრეებისა. რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. ეს გამაერთიანებელი ვერ იქნება. კარგი იქნებოდა, ერთი დიდი აქცია ჩატარებულიყო, მაგრამ ინიციატორი არ უნდა ყოფილიყო ერთი კონკრეტული პარტია, მით უმეტეს ნაციონალური მოძრაობა და მით უმეტეს ხაბეიშვილი.

ეკატერინე ტიკარაძე: „რესპუბლიკური საავადმყოფო საუკეთესო ადგილზეა“

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე ამბობს, რომ ამ წლების განმავლობაში არა აქვს ნანახი დასკვნა, რომელშიც ეწერებოდა, რომ რესპუბლიკური საავადმყოფო რეაბილიტაციას არ ექვემდებარება.

„ფორმულას“ კითხვებზე პასუხად ტიკარაძე ამბობს, რომ მსგავს შემთხვევაში უნდა არსებობდეს კონკრეტული პროექტი, რომელსაც თანამშრომლებიც გაეცნობიან. რაც შეეხება, საავადმყოფოს ადგილმდებარეობას, ტიკარაძე ამბობს, რომ ეს „საუკეთესო ადგილია“.

– ის საუკეთესო ადგილზეა როგორც სერვისების ხელმისაწვდომობის საჭიროების კუთხით მოსახლეობისთვის, ასევე სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან მიმართებით სტუდენტებისთვის. 2013-2015 წლებშიც იყო საუბარი დემონტაჟზე, თუმცა მაშინაც არასაკმარისი საფუძვლებისა და მტკიცებულებების გამო შეჩერდა ამაზე საუბარი. მჯერა, რომ ახლაც მიღებული იქნება გონივრული გადაწყვეტილება. რესპუბლიკური საავადმყოფოს როლი ქართულ მედიცინაში ძალიან დიდია – ის ქართული სამედიცინო საზოგადოების ე.წ. აკვანია, – თქვა ტიკარაძემ.

რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებმა ხელისუფლებას მიმართეს და მოუწოდეს, არ დაუშვან კლინიკის დანგრევა და მისი ადგილმდებარეობის შეცვლა. თანამშრომლები ღია წერილში აღნიშნავენ, რომ მათთვის მოულოდნელად, ჯანდაცვის მინისტრმა რესპუბლიკურის შენობის ნგრევა დააანონსა, მისი მდებარეობისა და კონცეფციის გაურკვეველი პერსპექტივით.

ხატია დეკანოიძე: „პარტიის დატოვებაზე ნაფიქრი მაქვს“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ხატია დეკანოიძის თქმით, მას პარტიის დატოვებაზე ნაფიქრი აქვს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

დეკანოიძის თქმით, პარტიის სხვა წევრებთან მას უთანხმოება ბოიკოტის საკითხთან დაკავშირებით აქვს.

– მე დარღვეული მაქვს ბოიკოტი, არ ვიზიარებ ბოიკოტის პოზიციას, მაქვს აზრთა სხვადასხვაობა ჩემს კოლეგებთან და გუშინაც დავადასტურე საკმაოდ მძიმე საუბრები. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს ჩემი პოზიცია არის სწორი. ნებისმიერი გადაწყვეტილება იქნება პირადად ჩემ მიერ გაჟღერებული.

მე ამაზე (პარტიის დატოვებაზე) ნაფიქრი მაქვს. ნაფიქრი მაქვს იმ კონტექსტში, რომ ბოიკოტი არ მიმაჩნია გზად, ამიტომ ვნახოთ, შევხედოთ როგორ გაგრძელდება. თუმცა ჩემი გადაწყვეტილება იქნება ჩემ მიერ გაჟღერებული და არავითარი სხვის მიერ, – თქვა ხატია დეკანოიძემ.

შეგახსენებთ, ენმ-ს ფრაქცია ამჟამად საპარლამენტო ბოიკოტშია. ხატია დეკანოიძემ კი ფრაქციის თავმჯდომარეობა 31 იანვარს დატოვა. ამ ნაბიჯს წინ უძღოდა პარტიის ახალი თავმჯდომარის განცხადება, სადაც ლევან ხაბეიშვილი ამბობდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის თავისუფლებისთვის მზად იყვნენ, საპარლამენტო და საკრებულოს მანდატები დაეტოვებინათ. დეკანოიძემ ხაბეიშვილი ამ განცხადებისთვის მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ კოლეგებთან შეუთანხმებლად ასეთი განცხადებები არ უნდა გაეკეთებინა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – გლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სომხეთზე უფრო დიდი პრორუსული პოლიტიკა განახორციელა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „არაფერი არ გამოვა ქუჩაში მასობრივი გამოსვლების გარეშე. ქუჩიდან უნდა შევძლოთ სამართლიანი საარჩევნო სისტემის შემუშავება და ვადამდელი არჩევნების მიღწევა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, რუსეთის დუმის დეპუტატმა კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ საქართველო და რუსეთი ავიაფრენების აღდგენისა და ვიზების გაუქმების ზღვარზე არიან. იმ ფონზე, რაც ქვეყანაში ხდება, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია?

– სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ საქართველო ამ ხელისუფლებას შეჰყავს არა ევროკავშირში, არამედ „ესენგესა“ და რუსეთის ფედერაციაში. ევროინტეგრაცია კი არ არის ამოცანა და მიზანი, არამედ რუსეთის ფედერაცია.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმ ფონზე, როდესაც ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლომ პუტინის დაკავების ორდერი გასცა, რუსეთთან ვაჭრობასა და ეკონომიკაზე საუბარი, სულ ცოტა, უხერხული უნდა იყოს, მით უფრო, როდესაც ეს სისხლიანი ფული ჩვენს ხალხამდე ვერ მიდის, რადგან ძალიან მაღალი ინფლაციაა ქვეყანაში. თუ ვინმე მდიდრდება, ეს მხოლოდ ივანიშვილის გარემოცვაა.

– 12-პუნქტიანი გეგმა ზედმიწევნითაც რომ შესრულდეს, ახლა რუსეთის მხრიდან ვიზების გაუქმებაზე საუბარი რამდენად შეგვიშლის ხელს?

– მიზანიც ხომ ეს არის ორივე მხრიდან. არც რუსეთსა და არც ჩვენს ხელისუფლებას არ უნდათ, საქართველოს მომავალი ევროკავშირში იყოს. ეს პოზიციები თანხვედრაშია. რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ვოლვიჩი რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე საუბრობს.

რა თქმა უნდა, რუსეთის სურვილია, პირდაპირ ხელი შეგვიშალოს, საქართველომ არ მიიღოს არც სტატუსი და არც არანაირი დასავლური პერსპექტივა არ ჰქონდეს. გასაგებია, რომ ეს სურვილი რუსეთს აქვს და ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ, რატომ აქვს ეს სურვილი ჩვენს ხელისუფლებას, ეს არის გაუგებარი და დიდი პრობლემა. თუმცა, უკვე ყველაფერი გასაგებია და არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუ როგორ ატარებს რუსულ ინტერესებს ხელისუფლება. ამის პირდაპირი დადასტურება იყო „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონპროექტი.



რით ვერ გაიგეს, რომ კარტოფილითა და მწვანილით ვაჭრობით ეკონომიკა არ იზრდება. იმდენს ლაპარაკობენ ამ ვაჭრობაზე, რომ ივანიშვილს სანქციები არ ასცდება. თუ იმ პოლიტიკის გაგრძელებაა ეს ყველაფერი, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლით მიაღწიონ ამას, მაშინ მართლაც ვერ გაექცევა ივანიშვილი სანქციებს. საქართველო რუსეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი გახდაო, რომ ამბობს რუსეთის ეკონომიკის მინისტრი, ივანიშვილს უნდა ესმოდეს, რომ ეს მას ნამდვილად სანქციებამდე მიიყვანს.

რუსეთის ხელისუფლება უკვე ამაყობს იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან გადასარევი ურთიერთობა აქვს. რაც შეეხება უკრაინასთან ურთიერთობას, უკრაინის ელჩი გაწვეულია. ეს ფაქტები მეტყველებს ყველაფერზე. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სომხეთზე უფრო პრორუსული პოლიტიკა განახორციელა. მარგარიტა სიმონიანს საერთოდ აეკრძალა სომხეთში ჩასვლა, ჩვენთან კი ალბათ დიდი სიხარულით მიიღებდა კობახიძე.

– 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე მინდა გკითხოთ.

– არაფერში არ სჭირდება „ქართულ ოცნებას“ არც 12 პუნქტი და არც ევროკავშირი. ამას ღიად ამბობენ მათი ლიდერები, კალაძით დაწყებული. ევროპა და დასავლეთი უნდათ საკუთარი შვილებისთვის, საკუთარი თავისთვის, მაგრამ არა საქართველოსა და ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, თუმცა, თუ ასე გააგრძელებენ და კალაშნიკოვსა და სიმონიანს ჩაეხუტებიან, მაშინ დასავლეთიდან მათი შვილების დეპორტაცია მოხდება, ისე, როგორც რუსების შვილების დეპორტაცია მოხდა.

„ქართული ოცნება“ ამ ქვეყნის არა მხოლოდ დასავლურ პერსპექტივას აყენებს ეჭვქვეშ, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობას, ქვეყნის სუვერენიტეტსაც. რუსეთი დაესხა საქართველოს თავს, რუსეთს აქვს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებული, დასავლეთს და ევროკავშირს კი არა.

ვითომ რომ 12 პუნქტზე მუშაობენ, ეს არის შირმა. მოჩვენებითად მუშაობის მცდელობაა. ეს არის იმიტაცია, რომ მერე თქვან – ჩვენ კი ვიმუშავეთ, მაგრამ ოპოზიციამ არ იმუშავაო, რომ მერე ოპოზიციას დააბრალონ ყველაფერი.

ვინც არ იცის, მათთვის ვიტყვი, რას ნიშნავს 12 პუნქტზე მუშაობა და მისი შესრულება: პირველ რიგში, ეს ნიშნავს სამართლიან არჩევნებს, ანუ სამართლიან საარჩევნო კოდექსზე შეთანხმებას. მეორე, ეს ნიშნავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემას, რაც სრულიად წარმოუდგენელია, რადგან ეს ნიშნავს მეორე დღესვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დასასრულს. მესამე, ეს არის „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ კანონის მიღება, არა ისეთის, როგორსაც ახლა იღებენ, სადაც ყველა ოლიგარქია, გარდა ივანიშვილისა.

თუ საპარლამენტო ოპოზიცია ფიქრობს, რომ ამ ყველა პუნქტის შესრულებას მიაღწევს „ოცნებასთან“, მაშინ ისინი ან თავს იტყუებენ და ილუზიაში არიან, ან გონებრივ შესაძლებლობასთან აქვთ პრობლემა.

არაფერი არ გამოვა ქუჩაში მასობრივი გამოსვლების გარეშე. ქუჩიდან უნდა შევძლოთ სამართლიანი საარჩევნო სისტემის შემუშავება და ვადამდელი არჩევნების მიღწევა. თუ ვადამდელი არჩევნები ვერა, სამართლიანი საარჩევნო სისტემისთვის მაინც უნდა ვიბრძოლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2024 წლის არჩევნებსაც ივანიშვილი მიიტაცებს და გაიფორმებს.

დასავლეთმა პუტინის იზოლაცია გადაწყვიტა

მამუკა გამყრელიძე: „რუსეთი ამ ომში საბოლოოდ მაინც დამარცხდება. უბრალოდ, ეს დროის ამბავია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი მოსკოვში ჩავიდა და ვლადიმერ პუტინს შეხვდა. სხვადასხვაგვარი შეფასება მოვისმინეთ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, პროცესები როგორ განვითარდება?

– ამ ყველაფერს საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს. საქმე ისაა, რომ ეს ვიზიტი დაგეგმილი იყო. როდესაც ჩინეთის პირველი დიპლომატი ჩავიდა ევროპაში, შეხვდა ბლინკენსაც, შეხვდა ლავროვს. ის იყო უნგრეთში, მიუნხენში, შემდეგ რუსეთში ჩავიდა და განაცხადა, ჩვენ სამშვიდობო საქმეებზე უნდა ვიფიქროთო. მერე ჩადის ჩინეთში. იქ ჯერ ექვსპუნქტიანი, მსოფლიოს მშვიდობის რაღაც გეგმა დადეს და შემდეგ გამოაგორეს ეს 12– პუნქტიანი, ჩინელები ასე უწოდებენ – ჩინეთის პოზიცია ამ კონფლიქტთან დაკავშირებით. მხოლოდ პირველი პუნქტით შეგვიძლია შემოვიფარგლოთ, სადაც წერია, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტსო. დანარჩენი პუნქტები წყალი იყო. ამ ყველაფრის შემდეგ ჩინეთის მხარე აცხადებს, რომ ჩინეთის პრეზიდენტი ეწვევა რუსეთს, ხოლო ამის მერე დისტანციური საუბარი ექნება ზელენსკისთან. მოკლედ, დაგეგმილი იყო ეს ყველაფერი და, როდესაც დაახლოებით გამოცხადდა თარიღი, 18-დან 22-მდე, უკვე ყველამ იცოდა, რომ 21-ში შეხვდებოდა პუტინს. სწორედ აქ გაჟღერდა ჰააგის გადაწყვეტილება.

– დაასწრეს ვიზიტს თუ, უბრალოდ, დროში დაემთხვა?

– დაასწრეს. ამ გადაწყვეტილებით პუტინს ეზღუდება მოძრაობის საშუალება 123 ქვეყანაში. ამ შემთხვევაში დასწრებაზე ითამაშა დასავლეთმა. ჩინეთის პრეზიდენტი რომ უარს არ იტყოდა რუსეთში ჩასვლაზე, ცხადი იყო. ვნახეთ, რომ მაინც გაემგზავრა მოსკოვში, ითამაშა თავისი როლი, მხარი დაუჭირა თავის სტრატეგიულ პარტნიორს, არა იმდენად სტრატეგიულ, რამდენადაც ძალიან მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორს, რადგან ძალიან დიდი რაოდენობით ენერგომატარებლებს ყიდულობს რუსეთისგან. 30 თუ 40%-ით გაიზარდა ნავთობის მიწოდება ჩინეთში. გაზსაც იმაზე მეტს აწვდიან, ვიდრე კონტრაქტით არის გათვალისწინებული. ჩინეთმა დაიჭირა რუსეთის საავტომობილო იმპორტის 40%. ასევე ჩინეთმა დაიკავა ის ვაკუუმები, რომლებიც წარმოიშვა დასავლური კომპანიების გასვლის შემდეგ რუსეთიდან. ჩინეთმა გაზარდა იუანით ვაჭრობა რუსეთთან. მოკლედ, ჩინეთმა მიიღო ძალიან ბევრი ბენეფიტი. შესაბამისად, ის აუცილებლად ჩავიდოდა და ჩავიდა კიდეც.

– ჩავიდა დასუსტებულ პუტინთან და გაცილებით მეტს წამოიღებს მისგან, ვიდრე სხვა სიტუაციაშიო.

– რა თქმა უნდა, ასეა. ჩინეთი წამოიღებს ძალიან ბევრ ეკონომიკურ მოგებას. აქ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს: აბსოლუტურად გამორიცხულია, ჩინეთმა დაუჭიროს მხარი დასავლეთს და არ დაუჭიროს მხარი რუსეთს. ვგულისხმობ უკრაინასთან ომს. მისთვის მნიშვნელოვანია ნატოსა და დასავლეთის დამარცხება.

– ანუ რა გამოდის, რუსეთს ჰყავს დღეს ძლიერი მოკავშირე ჩინეთის სახით?

– მინიმუმ, ეკონომიკურ და მორალურ დონეზე ძალიან ძლიერი მოკავშირე ჰყავს. თან არ დაგვავიწყდეს ერთი რამ – ჩინეთმა ძალიან სერიოზული მოძრაობა დაიწყო ახლო აღმოსავლეთში. ამ მიმართულებასაც უდიდეს ყურადღებას აქცევს და რეალურად ის უკვე იჭრება ამერიკის ინტერესების სფეროში.

– რა საპასუხო ნაბიჯები იქნება ამერიკიდან?

– საპასუხოდ მიდის უკუსის გაძლიერება. ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ამერიკა – აი, ეს სამხედრო ალიანსი, სადაც მის სადაზვერვო ნაწილში მოიაზრება ასევე ახალი ზელანდია, ასევე – სამხრეთი კორეა და იაპონია. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები, რაც იყო სამხრეთ კორეასა და იაპონია შორის, გადაწყდა. პრემიერების შეხვედრა მოხდა ერთი კვირის წინ კორეაში და ძალიან ბევრ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ის დაპირისპირება უკვე ძალიან ღრმა მეგობრობაში გადაიზარდა, რაც ასევე აძლიერებს ამერიკის მოკავშირეების ინტერესებს წყნარ ოკეანეში და ასუსტებს ჩინეთს. მოკლედ, მომავალი დაპირისპირებისთვის ემზადება ყველა.

– ჩინეთის ფაქტორიდან გამომდინარე, რამდენად გაიმართება წელში რუსეთი და ეს ყველაფერი რა გავლენას იქონიებს რუსეთ-უკრაინის ომზე?

– ჩემი აზრით, საქმე გვაქვს პუტინის იზოლაციასთან. აგვისტოში სამხრეთ აფრიკაში უნდა ჩატარდეს ბრიქსის ქვეყნების შეკრება, ხოლო სამხრეთ აფრიკას რატიფიცირებული აქვს ეს ხელშეკრულება. ვგულისხმობ რომის სტატუსს. იცით, რომ ბრიქსის ძირითადი ქვეყნები არიან სამხრეთი აფრიკა, ინდოეთი და ბრაზილია. ინდოეთი არ ცნობს რომის სტატუსს, თუმცა ბრაზილიასაც და სამხრეთ აფრიკასაც რატიფიცირებული აქვთ ეს ხელშეკრულება. შესაბამისად, მათ გაუჭირდებათ პუტინთან ურთიერთობა. პუტინიც არ გარისკავს იქ ჩასვლას და სამხრეთი აფრიკისთვისაც უკიდურესად უხერხული იქნება მისი მიღება. შესაბამისად, ბრიქსის ამ სამიტზე პუტინი ვერ ჩავა. ეს ყველაფერი გამოიწვევს კრემლში ძალიან დიდ უხერხულობას. პუტინის იზოლირება, მისთვის სასამართლოს მიერ ძებნილის სტატუსის მინიჭება, ძალიან დიდ უხერხულობას შეუქმნის თავად კრემლს. ჩემი მოსაზრებაა, რომ, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შიგნით დაიწყება მასზე ნადირობა.



– აქეთ იყო მიმართული ჰააგის გადაწყვეტილებაც?

– ეს გადაწყვეტილება უფრო ჩინეთის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებისკენ იყო მიმართული. პუტინს კი უნდა, რომ 2024 წელს გავიდეს არჩევნებში და გაიმარჯვოს, რაშიც ეჭვი მეპარება. არ არის დღეს პუტინი იმ მდგომარეობაში, რომ კვლავ გაიმარჯვოს. თუ მაინც გავიდა და კიდევ გაიმარჯვა, ეს წარმატება ძალიან მოკლევადიანი იქნება.

– რა იქნება უკრაინასთან მიმართებით? დროში გაიწელება ეს ომი?

– უკრაინაში ომი სწრაფად ვერ დასრულდება, თუმცა დიდწილად ყველაფერი დამოკიდებული იქნება ამერიკის პოზიციაზე, რა რაოდენობის იარაღსა და საბრძოლო მასალას მიაწვდიან უკრაინას, რა შეტევებს განახორციელებს უკრაინა გაზაფხულის ბოლოს. რუსეთი ამ ომში საბოლოოდ მაინც დამარცხდება. უბრალოდ, ეს დროის ამბავია.

„იძულებული ვხდებით, მივმართოთ პენიტენციარულ სამსახურს, შეაფასოს პაციენტ მიხეილ სააკაშვილის კლინიკაში შემდგომი დაყოვნების მიზანშეწონილობა“

„ვივა მედის“ განცხადებით, კლინიკა „იძულებული ხდება, მიმართოს პენიტენციარული დაწესებულის სამედიცინო სამსახურს, შეაფასოს სააკაშვილის კლინიკა „ვივა მედში“ შემდგომი დაყოვნების მიზანშეწონილობა“.

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე „ვივა მედმა“ განცხადება გუშინ გაავრცელა.

კლინიკა კვლავ ამტკიცებს, რომ მიხეილ სააკაშვილი მკურნალობაზე უარს ამბობს და წერს, რომ „სამედიცინო ეთიკიდან გამომდინარე, მედპერსონალი იძულებით ვერავის უმკურნალებს“.

– მოგახსენებთ, რომ პაციენტი მ. სააკაშვილი კლინიკა „ვივა მედში“ იმყოფება 2022 წლის 12 მაისიდან დღემდე. პაციენტს ჩაუტარდა გამოკვლევების სრული სპექტრი, დაესვა დიაგნოზი და განესაზღვრა თანამედროვე გაიდლაინების შესაბამისად, მკურნალობის სქემა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად ჩვენ მიმართ არნახული ზეწოლისა, ვცდილობდით, დაგვერწმუნებინა პაციენტი, რომ ჩაეტარებინა მკურნალობის კურსი, რაც ოქტომბრის თვემდე მეტ-ნაკლებად გამოგვდიოდა და სახეზე იყო შესამჩნევი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო ოქტომბრის შემდეგ პაციენტი უარს აცხადებს შეთავაზებულ მკურნალობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის პრეპარატი ან პროცედურა დადებითად აისახება მის სუბიექტურ ან ობიექტურ მონაცემებზე.

შესაბამისად, ბოლო თვის განმავლობაში პაციენტი იმყოფება მხოლოდ სიმპტომურ მკურნალობაზე, უნდობლობას აცხადებს მედპერსონალის მიმართ და უარს ამბობს შეთავაზებული მკურნალობის სქემაზე.

შედეგად, სამედიცინო ცენტრი „ვივა მედი“ დაუმსახურებლად იღებს უზარმაზარ რეპუტაციულ დარტყმას (მაგალითად: არ ვმკურნალობთ, ვერ ვმკურნალობთ და ა.შ.), რაც კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია. სამედიცინო ეთიკიდან გამომდინარე, მედპერსონალი იძულებით ვერავის უმკურნალებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, იძულებული ვხდებით, მივმართოთ პენიტენციარული დაწესებულის სამედიცინო სამსახურს, შეაფასოს პაციენტ მ. სააკაშვილის კლინიკა „ვივა მედში“ შემდგომი დაყოვნების მიზანშეწონილობა, ვინაიდან ის სიმპტომური მკურნალობა, რაზეც თანხმობას აცხადებს, შესაძლებელია ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, – ნათქვამია განცხადებაში.

„ეს მთელი „რუსული სამყაროსთვის“ შავი ნიშანია“

„პუტინს მოლაპარაკებათა მაგიდასთან აღარავინ აღარ დაუჯდება“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ბოლო დროს გამძვინვარებული ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდა პუტინის მიმართ გამოტანილმა გადაწყვეტილებამაც ვერ გააჩერა. შეგახსენებთ, რომ 17 მარტს სისხლის სამართლის (კრიმინალურმა) საერთაშორისო სასამართლომ პუტინის დაკავების ორდერი გასცა.

საქართველოში პუტინის მიმართ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას სათანადო ყურადღება არ დაუთმეს, ანტიდასავლური ჯგუფები კი ჩვეული მონდომებით აგრძელებენ დასავლეთისა და მისი ღირებულებების ლანძღვას. იმავე ძალებმა დღის წესრიგში დააბრუნეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ უკვე გაწვეული კანონპროექტი, რომელსაც უდიდესი მღელვარება მოჰყვა და ორგანიზებულად შეუდგნენ მის გათეთრებას. „ეს არ იყო რუსული კანონპროექტი“ – ასეთია მათი პროპაგანდა. ანტიდასავლური ისტერიკა, რომელიც საქართველოში არ წყდება, უცნაურად გამოიყურება და რუსეთს ვერ გადაარჩენს.

აგრესორი საბრალდებო სკამზე ხვალვე ვერ მოხვდება, მაგრამ ის უკვე გამოცხადდა კეთროვნად, რუსეთი კი ხდება უსუსტესი (საკარაუდოდ, დასაშლელად გამზადებული) ქვეყანა, რომლის ლიდერს, სურვილის შემთხვევაში, არც ზავის დადების საშუალება აქვს და არც სხვა ბევრ ფორუმში მონაწილეობის უფლება. ჩინეთის ლიდერ სი ძინპინთან დალაპარაკებამ საერთაშორისო დამნაშავე (იურიდიულად, ეჭვმიტანილი) პუტინის ავტორიტეტი ვერ აამაღლა.

პუტინისა და რუსეთის ბავშვთა ომბუდსმენის მიმართ გაცემულ ორდერზე კომენტარები გააკეთეს მსოფლიოს ლიდერებმა.

საქართველოს საზოგადოებისთვის საინტერესოა, თუ რას ამბობენ კრემლის ოპონენტები.

ნიკოლაი პოლოზოვი:

– თავის დროზე, როცა ორდერი გაიცა მილოშევიჩზე, ის მოქმედი პრეზიდენტი იყო და ისევე მხიარულობდა ამის გამო, როგორც პუტინი ხალისობს. მილოშევიჩს დაუსჯელობის გრძნობა ჰქონდა. რამდენიმე წლის შემდეგ ის მაინც წარდგა სასამართლოს წინაშე, თუმცა განაჩენამდე ვერ მიაღწია. ასეთი ვარიანტი პუტინისთვის იმაზე ბევრად უკეთესია, ვიდრე ის ვარიანტები, რომლებიც რუსეთში თავისიანებისგან ელოდება.

> **„გერმანელი ნაცისტებიც არ ცნობდნენ ნიურნბერგის ტრიბუნალის იურისდიქციას“**

ანტონ გერაშჩენკო:

– მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია არ ცნობს ჰაგის კრიმინალური სასამართლოს გადაწყვეტილებას პუტინის დაპატიმრების თაობაზე უკრაინელი ბავშვების მოპარვის გამო. შეგახსენებთ, რომ გერინგი, ჰესი, კეიტელი, რიბენტროპი და სხვა ნაცისტებიც არ ცნობდნენ ნიურნბერგის ტრიბუნალის იურისდიქციას. მოსამართლეებს ასეთ რამ არ აღელვებთ. ისინი ყველანი ჩამოახრჩვეს.

ილია პონომარიოვი:

– ორდერი ნიშნავს, რომ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ვერცერთი ქვეყანა (ყველანი აღიარებენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს) პუტინთან ვერ წარმართავს მოლაპარაკებებს ვერცერთ საკითხზე. ჩინეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, თურქეთი, მალაიზია, ინდონეზია, ისრაელი და სხვები არ აღიარებენ საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოს, თუმცა ეს კრემლისათვის მცირე ნუგეშია.

გრიგორი პასკო:

– მსოფლიო პოლიტიკოსებისათვის ეს სიგნალი უნდა იყოს. არავითარი „პუტინს დავურეკავ“, „მზად ვარ, პუტინს შევხვდე“.

დიმიტრი გუდკოვი:

– როგორია, როცა სამხედრო დამნაშავის თანამზრახველი ხარ? გუბერნატორებს, მინისტრებს, სენატორებს ჰგონიათ, რომ მათ ცუდი არაფერი შეემთხვევათ. ლვოვა-ბელოვა ხომ აღმოჩნდა სიაში მის გვერდით, სხვებიც აღმოჩნდებიან. გინდათ, კიდევ ემსახუროთ სამხედრო დამნაშავეს? მაშინ, მოემზადეთ, სიაში თქვენც აღმოჩნდებით.

კარინა ორლოვა:

– რუსეთის ელიტებს სურდათ დიადი რუსეთის აშენება. მათ უნდოდათ მსოფლიოს გაყოფა სხვა მძლავრ სახელმწიფოებთან ერთად. ამერიკასთან ძალის პოზიციიდან აპირებდნენ საუბარს. ახლა რა მიიღეს? ვის რად უნდა მიწების დაპყრობა? მთელი უკრაინაც რომ მიიტაცონ, შემდეგ რა? პუტინი ქვეყნიდან ვეღარ გადის. მსოფლიოს ბედის განსახილველად მას მოლაპარაკებათა მაგიდასთან აღარავინ აღარ დაუჯდება. ორდერი იმის გარანტიაც არის, რომ პუტინი ამ ომს თვითონ ვერასდროს ვერ დაამთავრებს.

ვიტალი გინზბურგი:

– ეს არის შავი ნიშანი არა მარტო პუტინისა და რუსეთისათვის, არამედ მთელი „რუსული სამყაროსთვის“. ეს არის უკრაინის პოლიტიკოსებისა და დიპლომატების კოლოსალური გამარჯვება. ეს არის კოლოსალური შოკი რუსეთის მოსახლეობისთვის. „რუსულ სამყაროს“ ასეთი დამცირება არ განუცდია. რუსეთის ელიტისგან მალე წამოვა წინადადებების ნაკადი საკუთარი ფულისა და აქტივების გადასარჩენად.

მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად სამთავრობო კომისიის მეორე სხდომა გაიმართა

მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის პირველადი არქიტექტურული ესკიზი და საპრეზენტაციო

მასალები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობის წევრებსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებს წარედგინათ.

წინასაპროექტო კვლევების საფუძველზე მომზადებულ მასალებს კომისიის წევრები იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, მდინარე იორდანეზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად შექმნილი სამთავრობო კომისიის მეორე სხდომის ფარგლებში გაეცნნენ. გუშინვე კომისიის წევრებმა განიხილეს ცენტრის მშენებლობისთვის განსახორციელებელი შემდგომი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამთავრობო კომისიის მუშაობას პირადად ხელმძღვანელობს. მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად სამთავრობო კომისიის მეორე სხდომას ვიცეპრემიერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე) და ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე) ესწრებოდნენ.

საქართველოს საკუთრებაში არსებული 4.000 კვადრატული მეტრი მიწა მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, მდინარე იორდანესთან 15-20 მეტრის მანძილზეა. საქართველოსთვის მიწის გადმოცემის ღონისძიებაში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს პრინც ღაზისთან ერთად 2022 წლის გაზაფხულზე მიიღო მონაწილეობა.

შსს: „თავი შეიკავეთ პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაციისგან“

შინაგან საქმეთა სამინისტრო სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში შესვლასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს და წერს, რომ მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება მუდმივ რეჟიმში ახორციელებს დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

– უწყების სხვადასხვა დანაყოფებთან ერთად, საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ძალიან მნიშვნელოვანია მართლწესრიგის ოფიცრის როლი, რომლის კომპეტენციაში არაერთ მნიშვნელოვან მიმართულებასთან ერთად შედის ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება;

მართლწესრიგის ოფიცრები მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მუდმივ კომუნიკაციაში არიან თავიანთ სამოქმედო არეალში მცხოვრებ მოქალაქეებთან და ახორციელებენ ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციას და პირველად დამუშავებას.

სწორედ აღნიშნული უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, მიმდინარე წლის 14, 15, 16 მარტს მართლწესრიგის ოფიცრები ბაგებში მდებარე სტუდქალაქის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსებში იმყოფებოდნენ და გეგმიურ საქმიანობას აწარმოებდნენ.

სტუდენტური ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს ხუთი საცხოვრებელი კორპუსი, სადაც სხვადასხვა ასაკის, პროფესიის და რეგიონის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

საერთო ჯამში, ტერიტორიაზე დაახლოებით 1.500 ადამიანია დასახლებული, რომელთა შორის მხოლოდ 20%-ია სტუდენტი.

– გვსურს აღვნიშნოთ, რომ ვიზიტის განხორციელებისას, მართლწესრიგის ოფიცრებთან კომუნიკაციის დროს, ადგილობრივ მოსახლეობას რაიმე სახის პროტესტი არ გამოუხატავს, – ნათქვამია განცხადებაში. შინაგან საქმეთა სამინისტრო, განცხადებაში აღნიშნავს, რომ მოუწოდებს ყველა პირს, ახალგაზრდულ მოძრაობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს, სხვადასხვა ინტერესის გამო თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისა და პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაციისგან.

პრიგოჟინმა შოიგუს წერილი მისწერა

უკვე მეორე კვირაა, რაც უკრაინულმა სპეცრაზმმა ბახმუტთან რუსი ოკუპანტების წინსვლა შეაჩერა. მეტიც, ელვისებური კონტრშეტევებით უკრაინელებმა აიძულეს ოკუპანტები, უკან დაეხიათ რიგი სტრატეგიული უბნიდან. ფირმა „ვაგნერის“ შეფმა პრიგოჟინმაც რუსეთის თავდაცვის მინისტრ შოიგუს წერილი მისწერა:

– დღეს უკრაინელებს უფრო ხელსაყრელი პოზიცია უკავიათ! ჩვენი მეომრები კი იარაღისა და საბრძოლო მასალის დეფიციტს განიცდიან, – წერს პრიგოჟინი.

„ვაგნერელთა“ შეფი დახმარებას სთხოვს რუსეთის თავდაცვის მინისტრს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ბახმუტთან მყოფი ჩვენი ჯარი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, – წერს პრიგოჟინი.

კიევში მთავარბანაკის სხდომა გაიმართა

კიევში მთავარბანაკის სხდომა გაიმართა. მას თავად უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი უძღვებოდა. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა უკრაინის არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი.

სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. მდგომარეობა ფრონტზე;
2. მტრის შესაძლო მოქმედებები უახლოეს პერსპექტივაში;
3. უკრაინული არმიის იარაღით, ტყვია-წამლითა და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფა;
4. მოკავშირეებისაგან შესაძლო დახმარების მიღების გრაფიკი.

ხსენებული საკითხების გარშემო სხდომამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებები.

თბილისში, იყალთოს ქუჩაზე, კორპუსში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა

თბილისში, იყალთოს ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში ხანძარს 70 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ხანძარი ლიკვიდირებულია.

სი ცზენპინისა და პუტინის ერთობლივი განცხადება

მოსკოვში დასრულდა რუსეთის დიქტატორ ვლადიმერ პუტინისა და ჩინეთის ლიდერ სი ცზენპინის მოლაპარაკებების პირველი ნაწილი. მხარეებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს. ის შემდეგი შინაარსისაა:

1. რუსეთი და ჩინეთი მოითხოვენ, რომ ნატომ თავისი თავდაცვითი ხასიათი მკაცრად დაიცვას;
2. უკრაინული კრიზისის გადაჭრისას უნდა გამოვრიცხოთ ბლოკთაშორისი დაპირისპირება და თავიდან ავიცილოთ მოვლენების უკონტროლო განვითარება;
3. რუსეთი და ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სხვა ქვეყნების მიერ მათთვის უცხო, მიუღებელი ფასეულობების თავს მოხვევას, აგრეთვე დემოკრატიის გამოყენებას საკუთარი გავლენის გავრცელების იარაღად;
4. რუსეთი ტაივანს ჩინეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს;
5. მხარეები რეგულარულად აწარმოებენ პატრულირებას ზღვაზე და ჰაერში, ასევე ერთობლივ სამხედრო სწავლებებს.

შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება გაზსადენ „ციმბირის ძალის“ მშენებლობის შესახებ. ამ გაზსადენით განხორციელდება რუსული გაზის ექსპორტი ჩინეთში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ვანში მაღაზია დააყაჩაღეს

ვანში ყაჩაღობა მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, უცნობი პირი მაღაზიაში შეიჭრა და მოლარეს თავს დაესხა. გაურკვეველია, შეძლო თუ არა მან თანხის წაღება.

არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელი ცხელ კვალზე დააკავეს. მომხდართან დაკავშირებით ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

ბოლნისში დაკარგული ბავშვი უვნებელი იპოვეს

ბოლნისში დაკარგული ბავშვი იპოვეს და პოლიციამ ის უკვე მიიყვანა სახლში. ინფორმაციას შსს ადასტურებს. მოზარდი თავს კარგად გრძნობს. არსებული ინფორმაციით, ის სახლიდან მოშორებით სამძებრო სამუშაოებისას იპოვეს.

9 წლის მოზარდი გუშინწინ დილით გაუჩინარდა. ბიჭს თითქმის 24 საათის განმავლობაში ეძებდნენ.

პოლიციამ თავდასხმის ინსცენირებით, დიდი ოდენობით სამსახურებრივი თანხის უკანონოდ დაუფლების ბრალდებით და-ძმა დააკავა



პოლიციამ თბილისში დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად მითვისების ფაქტზე და-ძმა დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ რ.ხ.-მ, რომელიც ერთ-ერთ კომპანიაში ბუღალტრად მუშაობდა, თავის ძმასთან – ჯ.ხ.-სთან ერთად სამსახურებრივი თანხის მითვისება დაგეგმა და თავდასხმის ინსცენირებით, 150.000 ლარს უკანონოდ დაეუფლა.

და-ძმას, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის მითვისების ბრალდებით, თბილისში ორი პირი: 1992 წელს დაბადებული რ.ხ. და 1983 წელს დაბადებული ჯ.ხ. ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ რ.ხ.-მ, რომელიც ერთ-ერთ კომპანიაში ბუღალტრად მუშაობდა, თავის ძმასთან – ჯ.ხ.-სთან ერთად სამსახურებრივი თანხის მითვისება დაგეგმა და თავდასხმის ინსცენირებით, 150.000 ლარს უკანონოდ დაეუფლა.

სამართალდამცველებმა ორივე პირი ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ უკანონოდ მითვისებული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტით, ასევე, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თანხის მითვისებას. დანაშაული 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მამაკაცს, რომელიც მუხიანში ერთ-ერთი კორპუსის ლიფტში გარდაცვლილი იპოვეს, სხეულზე, სავარაუდოდ, დამწვრობა აღენიშნება

მამაკაცს, რომელიც მუხიანში, დუმბაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის ლიფტში გარდაცვლილი იპოვეს, სხეულზე, სავარაუდოდ, დამწვრობა აღენიშნება.

გარდაცვალების ზუსტ მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთმა პირმა განუცხადა, მამაკაცი ლიფტთან იპოვეს გარდაცვლილი და მას სხეულზე დამწვრობა აღენიშნება.

– დილით, მეზობელმა კორპუსში კვამლის სუნი იგრძნო. გამოუძახებია სახანძრო-სამაშველო ბრიგადა. მე არ მინახავს, მაგრამ, ყველა ამბობს, რომ სხეული დამწვარი აქვს, – აცხადებს ადგილობრივი.

გარდაცვალების მიზეზებზე ვერ საუბრობს გარდაცვლილის და.

საზოგადოება

საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტის დაზიანება-განადგურების გამო პირი 300 ლარით დაჯარიმდება

საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ობიექტის დაზიანება-განადგურებაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წესდება.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ სპეციალური მუხლის დამატებას, რომლის მიხედვით, მოედანზე, გზაზე, პარკში, სკვერში, მიწისქვეშა გადასასვლელში განთავსებული ინფრასტრუქტურის, ინვენტარის, საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სხვა ობიექტის, მათ შორის საგზაო ნიშნის, შუქნიშნის, გარესამეთვალყურეო კამერის განზრახ დაზიანება ან განადგურება, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განზრახ დაზიანება ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული ინვენტარის განზრახ დაზიანება ან განადგურება – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

იმავე ქმედების განმეორება კი გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღემდე ვადით.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფო ქონების დაზიანება ან განადგურება პასუხისმგებლობის დაკისრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ დაზიანებული ან განადგურებული ნივთის ღირებულება 150 ლარს აღემატება. თუ დაზიანებული ან განადგურებული ნივთის ღირებულება 150 ლარს არ აღემატება, პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა მოამზადეს. ინიციატორთა განმარტებით, ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა პირები საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილ ობიექტებს მიზანმიმართულად, განზრახ აზიანებენ.

– გახშირებული შემთხვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზიანი ადგება, როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სახელმწიფოს ქონებას. შესაბამისად, ვანდალიზმის ისეთი შემთხვევა, როგორიცაა საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ობიექტის განზრახ დაზიანება ან განადგურება, რასაც ზემოაღნიშნული ოდენობის ზიანი არ გამოუწვევია, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება, – აცხადებენ ინიციატივის ავტორები.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, რატი იონათამიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ალექსანდრე ტაბატაძე, ირაკლი ჩიქოვანი, ირაკლი ზარქუა, ბექა დავითულიანი, გიორგი ამილახვარი, მიხეილ სარჯველაძე და ნინო იობაშვილი.

ლევან მეტრეველი: „რესპუბლიკურ საავადმყოფოს ხელი არ უნდა ახლონ“

„რესპუბლიკურ საავადმყოფოს ხელი არ უნდა ახლონ!“ – განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესორმა ლევან მეტრეველმა.

რესპუბლიკური საავადმყოფოს დანგრევის დაანონსებაზე ლევან მეტრეველმა ბრიფინგი გამართა, სადაც მან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით განაცხადა, რომ ამ საავადმყოფოს დანგრევა შეიძლება ემსახურებოდეს ვიღაცის ინტერესებს, რომელსაც მოეწონა ეს ადგილი, როგორც საინვესტიციო წერტილი;

– უკვე რამდენიმე თვეა, მიდის ამ საავადმყოფოს შესახებ საუბარი მთავრობაში, შიგნით, კულუარებში. საუბარია იმაზე, რომ ის უნდა დაიხუროს, შენობა უნდა დაინგრეს. დიდი ალბათობით, ვიღაცას მოეწონა ეს ადგილი საინვესტიციო წერტილად, სადაც რაღაც ბიზნესებს განავითარებს.

ლევან მეტრეველმა ასევე თქვა, რომ ამ საავადმყოფოს, გარდა სამოქალაქო დანიშნულებისა, აქვს სამხედრო დანიშნულება და ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელი პრობლემებიც შეიძლება გაჩნდეს, რესპუბლიკური საავადმყოფოს დანგრევით;

– პირველი, ამ საავადმყოფოს ხელი არ უნდა ეხლოს, პირიქით, ის უნდა განვითარდეს და გადაიქცეს ეროვნულ და რეგიონულ რეფერალურ ცენტრად. მეორე, ამ საავადმყოფოს, გარდა სამოქალაქო დანიშნულებისა, აქვს სამხედრო დანიშნულება და ჩვენ, როგორც ომით დაზარალებულმა ქვეყანამ, ეს ყველაფერი კარგად ვიცით. მესამე, ამ საავადმყოფოს დაკეტვა მინიმუმ 1.000 ადამიანის გათავისუფლებას იწვევს, ამიტომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პირველ რიგში, უცხადებს სრულ თანადგომას ადამიანებს, რომლებიც შეიძლება დაიჩაგრონ ამ გადაწყვეტილებით, სამედიცინო და ტექნიკურ პერსონალს ვგულისხმობ, ჩვენ ვართ მათ გვერდით, ჩვენი კარი მათთვის ღიაა, მობრძანდნენ ნებისმიერ დროს და ყველანაირად დავეხმარებით.

ამასთან ერთად, ლევან მეტრეველმა შესთავაზა დახმარება მთავრობასა და საავადმყოფოს ადმინისტრაციას, სურვილის შემთხვევაში, დონორების მოძიებაში, რათა მან სრული მასშტაბით იმუშაოს;

– ჩვენ ვთავაზობთ მთავრობასა და საავადმყოფოს ადმინისტრაციას დახმარებას, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ, მე მაქვს პირადად ამის გამოცდილება და ჩვენს ჯგუფში ძალიან ბევრ ადამიანს, მოვიზიდოთ დონორული სახსრები, რათა ეს საავადმყოფო რეაბილიტირდეს ისე, რომ სრული მასშტაბით იმუშაოს, – განაცხადა ლევან მეტრეველმა.

კულტურა

ლეგენდარული მხატვრის ნახატს 50 წელი სარდაფში მტვერი ედებოდა

აშშ-ში გაიხსნა გამოფენა, რომლის მთავარ ექსპონატად ლეგენდარული ფრანგი მხატვრის გუსტავ კურბეს ნამუშევარი იქცა, რომელიც თითქმის 50 წლის განმავლობაში პენსილვანიის უნივერსიტეტის სტომატოლოგიური განყოფილების სარდაფში ინახებოდა.

პეიზაჟი სახელწოდებით „მდინარე ლიზონის სათავე“, რომელიც 1864 წელს შეიქმნა, უნივერსიტეტის არტურ როსას გალერეის კურატორმა ლინ მარსდენ-ატლასმა აღმოაჩინა. ეს 2016 წელს მოხდა, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სარდაფში გარკვეული შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. მარსდენ-ატლასი დიდი ხნის მიტოვებულ სარდაფში ყუთში მოთავსებულ ნახატს გადააწყდა.

სურათის ნამდვილობის დადგენა მაშინვე არ მოხერხდა, ვინაიდან ის ჩარჩოს გარეშე ინახებოდა და ძალიან იყო დასვრილი. თუმცა ნახატის კუთხეში – მე მხოლოდ მინიშნება მქონდა და არა მისი დამამტკიცებელი საბუთი, – იხსენებს მარსდენ-ატლასი.

გალერეის თანამშრომელმა ბარბარა ვენტრესკომ ფრთხილად გაწმინდა ნახატი, რის შემდეგაც ის ექსპერტიზაზე ფრანგი მხატვრის შემოქმედების ექსპერტებს გადაუგზავნა. 2022 წლის აპრილში ნახატის ნამდვილობა დადასტურდა.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ნახატს ამერიკელი კბილის ექიმი ტომას ევანსი ფლობდა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საფრანგეთში მუშაობდა. უცნობია, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ნახატი ევანსს, თუმცა მისი გარდაცვალების მომენტისთვის, 1897 წელს ის მისი ქონების სიაში იყო შესული. 1910 წლის დასაწყისში ევანსის ნათესავებმა პენსილვანიის უნივერსიტეტთან სტომატოლოგიური სკოლა დააარსეს და პატარა მუზეუმი ააშენეს. უცნობია, მუზეუმის ექსპონატებს შორის იყო თუ არა კურბეს ნახატი, ხოლო თავად დაწესებულება 1967 წელს დაიხურა და, სავარაუდოდ, სწორედ იმ დროიდან ედებოდა მტვერი „მდინარე ლიზონის სათავეს“ შენობის სარდაფში.

მარსდენ-ატლასის თქმით, ნახატი „მდინარე ლიზონის სათავე“ ფრანგი ოსტატის ერთ-ერთ უიშვიათეს ნამუშევარს წარმოადგენს, ვინაიდან ამ მომენტისთვის კურბეს მხოლოდ სამი ნახატია საზოგადოებისთვის ცნობილი.

მამაკაცმა პარკში გაისეირნა და მსხვილი ალმასი იპოვა



აშშ-ის მკვიდრმა არკანზასის შტატში მდებარე სახელმწიფო პარკში „ალმასების კრატერში“ გასეირნება გადაწყვიტა და 3,29 კარატის წონის ყავისფერი ალმასი იპოვა.

ტენესის შტატის ქალაქ მერფრისბოროს მკვიდრი დევიდ ანდერსონი, პარკის ტერიტორიაზე მიწას ჩიჩქნიდა, როდესაც რაღაც ბრჭყვიალი შენიშნა.

– გავიფიქრე, რომ კვარცი იყო, მაგრამ იმან გამაოცა, თუ რამდენად ძლიერად ბრჭყვიალებდა, ხოლო როდესაც ხელში ავიღე, მივხვდი, რომ მსხვილი ალმასი იყო, – განაცხადა მამაკაცმა.

ანდერსონის მიერ ნაპოვნი ალმასი ყველაზე მსხვილია მათ შორის, რომელიც 2021 წლის სექტემბრის შემდეგ პარკის ტერიტორიაზე უპოვნიათ. მაშინ ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა 4,38 კარატის წონის ალმასი იპოვა.

ბოლო 16 წლის მანძილზე ანდერსონი არაერთხელ სტუმრობდა „ალმასების კრატერს“ და იქ 400-ზე მეტი ძვირფასი ქვა იპოვა, მათ შორის 6,19 კარატის წონის თეთრი ალმასი.



მეცხოვნეებმა დაწესებულების ტერიტორიაზე ზურგჩანთიანი მტრედი დაიჭირეს

კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ აბოტსფორდის ციხის თანამშრომლებმა გამოსასწორებელი დაწესებულების ტერიტორიაზე ზურგჩანთიანი ნარკოკურიერი მტრედი დაიჭირეს.

მეცხოვნეებმა ცარიელ ზურგჩანთიანი მტრედი მორიგი გეგმიური ჩხრეკის დროს დაიჭირეს. ფრინველის ზურგჩანთა ჯინსებისგან იყო დამზადებული. ის ცარიელი აღმოჩნდა. ამიტომ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პატიმრები მას ციხის ტერიტორიაზე ნარკოტიკების შეტანაში ავარჯიშებდნენ.

კონტრაბანდის ასეთი მეთოდი დიდი ხანია გამოიყენება პატიმრების მიერ, ვინაიდან კურიერი მტრედის დაჭერა არც ისე იოლია.

– ჩვენ საქმე გვქონია დრონების გამოყენებასა და კედელზე აკრძალული ნივთების გადაყრასთან. ჩვენ საქმე გვქონდა კონტრაბანდასთან და ახლა უკვე საქმე გვაქვს ცხოველებთან, – განაცხადა კანადის საკორექციო დაწესებულებების ოფიცრების გაერთიანების რეგიონულმა ხელმძღვანელმა ჯონ რენდიმ.

მან ივარაუდა, რომ ფრინველი საერთო რეჟიმის ციხის ტერიტორიაზე ღია ფანჯრიდან შეფრინდა და არც ის გამორიცხა, რომ მისი ზურგჩანთა პატიმრებმა მანამდე დააცარიელეს, სანამ მას დაწესებულების თანამშრომლები დაიჭერდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რას ნიშნავს ჩეხეთის პრეზიდენტის განცხადება

რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში გადადის. ოკუპანტებმა ვერცერთ სტრატეგიულ გამარჯვებას ვერ მიაღწიეს. მათ ვერც პატარა ქალაქ ბახმუტის აღება შეძლეს. ბახმუტი დღედაღამ განუწყვეტლივ იბომბება. ქალაქში არ დარჩა არცერთი მთელი შენობა. 70.000 მოსახლიდან ბახმუტში მხოლოდ 5.000 დარჩა. მიუხედავად ამისა, ქალაქი მტკიცედ დგას. ბახმუტზე კვლავაც უკრაინული დროშა ფრიალებს.

– ბახმუტის ბრძოლებში უდიდესი როლი ითამაშა უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ, – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ჟდანოვი.

მართლაც, ზალუჟნის ბრძანებით ბახმუტიდან გაიყვანეს უკრაინული არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ ნაცვლად ქალაქში სპეცნაწილები შეიყვანეს. ისინი ქალაქის პირობებში ბრძოლისათვის სპეციალურად არიან განწვრთნილი. გათვლამ გაამართლა. სპეცნაწილებმა ოკუპანტების შეტევები შეაჩერეს, ხოლო ფრონტის რიგ უბანზე კონტრშეტევაზეც გადავიდნენ და რუსები აიძულეს, უკან დაეხიათ.

ამრიგად, ბახმუტთან უკრაინელები რუს ოკუპანტებს სიქას აცლიან. შესაბამისად, უკვე აღარავის ეჭვს არ იწვევს ის, რომ უკრაინელთა კონტრშეტევა აუცილებლად დაიწყება. გასაგები მიზეზების გამო არ ხმაურდება, თუ როდის. უკრაინელთა კონტრშეტევაზე კი უკვე ისეთი სერიოზული მოლვაწეები ლაპარაკობენ, როგორიცაა ჩეხეთის პრეზიდენტი პეტერ პაველი.

– კონტრშეტევა გარდაუვალია, მაგრამ უკრაინელებს მხოლოდ ერთი მასირებული კონტრშეტევის საშუალება მიეცემათ, – აცხადებს პაველი.

ჩეხეთის პრეზიდენტის აზრით, დასავლეთი უკვე გადაიღალა უკრაინისაგან. შესაბამისად, დახმარებაც შემცირდება. ეს განსაკუთრებით 2024 წელს გამოჩნდება, როცა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ჟდანოვი თვლის, რომ პაველი უკრაინის მეგობარია და, შესაბამისად, განცხადებაც წინასწარ განზრახულად გააკეთა. დასავლეთში მართლაც გააქტიურდებიან ძალები, რომლებიც უკრაინისათვის დახმარების შეწყვეტისაკენ მოუწოდებენ. პაველმაც ერთგვარი პრევენცია განახორციელა. თავისი განცხადებით მან დარტყმა მიაყენა ყველა ანტიუკრაინულ ძალას, რომლებიც დასავლეთში გააქტიურდნენ. შედეგებმაც არ დააყოვნა.

– აშშ დაეხმარება უკრაინას მანამ, სანამ ეს საჭირო იქნება! ასე მოიქცევა ყველა ამერიკელი პოლიტიკოსი, მიუხედავად პარტიულობისა! – თქვა პრეზიდენტმა ბაიდენმა.

აშშ-ის ლიდერს არც გერმანიის კანცლერი ჩამორჩა. მან დასავლეთს მოუწოდა, მოემზადონ უკრაინაში ხანგრძლივი, სისხლიანი ომისათვის. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ უკრაინის დახმარება უკვე გაათკეცდა და ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება.

. ნატოს გენერალურმა მდივანმა მკაცრად გააკრიტიკა როგორც ჩინეთის „სამშვიდობო გეგმა“, ასევე აშშ-ში გერმანიის ექსელჩის იშინგერის სამშვიდობო ინიციატივები.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ჩინეთს ეწვევა

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ჩინეთს ეწვევა. ამის თაობაზე განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ.

– ჩინეთთან ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, – თქვა კირბიმ.

აშშ უკრაინას აბრამსებს გადასცემს

თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა იცვლება და ეს რუსეთ-უკრაინის ომზეც ახდენს გავლენას.

– ამიტომ უკრაინას აბრამსის ტიპის ტანკებს დაუყოვნებლივ გადავცემთ, – თქვა კირბიმ.

რუსეთმა უკრაინას დრონებით შეუტია

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკრაინელებმა მხოლოდ უკანასკნელი დღის განმავლობაში 920 ოკუპანტი მოსპეს. სულ ომის დაწყებიდან დღემდე განადგურებულია 167.490 რუსი ჯარისკაცი.

პასუხად რუსმა ოკუპანტებმა უკრაინას ირანული დრონებით შეუტიეს. უკრაინის მიმართულებით გაშვებულ იქნა 21 დრონი. შედეგად დაინგრა სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, მათ შორის – ბავშვებში.

უკრაინელთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ 21 დრონიდან 16 ჩამოაგდო.

ბრძოლები უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე

უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლები გრძელდება. მარცხით დასრულდა რუსების მცდელობა, შემოეარათ ავდეევკისათვის. ოკუპანტებმა დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. რაც შეეხება მარინკას, იქ ვითარება უცვლელია. ჩაიშალა რუსების ყველა მცდელობა, განეხორციელებინათ შეტევა.

საინტერესო ვითარება შეიქმნა უკრაინის სამხრეთში. ოკუპანტებმა ცადეს შეტევების განხორციელება ზაპოროჟიეს მიმართულებით, მაგრამ უკრაინელებმა იერიში მოიგერიეს. მტერმა დიდი დანაკარგებით დაიხია უკან. პასუხად რუსებმა დაბომბეს ზაპოროჟიე და ოდესა. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი. ოკუპანტების დაბომბვის პასუხად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დონეცკზე, გორლოვკაზე, სტახანოვსკზე. ერთ-ერთი რაკეტა ოკუპანტების ყაზარმას დაეცა და მთლიანად მიწასთან გაასწორა. განხორციელდა დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე, მათ შორის კურსკისა და ბრიანსკის ოლქებზე. დარტყმები განხორციელდა ოკუპირებული ყირიმის ტერიტორიაზეც. კერძოდ, დაიბომბა ჯანკოი, სიმფეროპოლი, სევასტოპოლი, ფეოდოსია. შედეგად განადგურებულია ოკუპანტების სამხედრო საწყობები, აეროდრომები, ყაზარმები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით ემზადება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მარტის მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს. 21 მარტს ვილი სანიოლის გუნდი დინამო თბილისის საწვრთნელ ბაზაზე სრული შემადგენლობით შეიკრიბა. ერთია, ფეხბურთელებმა, რომლებიც გუნდს გუშინ შეუერთდნენ, ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშეს.

ვარჯიშის შემდეგ კომენტარი საქართველოს ნაკრებისა და ბორდოს შემტევმა ზურიკო დავითაშვილმა გააკეთა:

– ეს საკვალიფიკაციო ეტაპი ბევრ რამეს დაგვანახებს. ჯგუფიდან გასვლა რთული იქნება, მაგრამ ამის გაკეთება შეგვიძლია. ვეთამაშებით ერთ-ერთ კონკურენტს და უნდა დავანახოთ ყველას, რომ ასეთი დონის გუნდების დამარცხება შეგვიძლია. ეს აქამდეც გაგვიკეთებია. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გავიმარჯვებთ და სამ ქულას ჩავიწერთ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობას მარტის მატჩებისთვის:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), მამუკა კობახიძე (დინამო, ბთ), სოლომონ კვირკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა), ჯიმი ტაბიძე (დინამო თბ), საბა საზონოვი (დინამო მ, რუსეთი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), გიორგი წიტაიშვილი (ლეხი, პოლონეთი);

ნახევარდაცვა: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი, გაბრიელ სიგუა (ორივე დინამო თბ), ლუკა გაგნიძე (დინამო მ, რუსეთი), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), საბა ლობჟანიძე (ქარაგუმრუქი, თურქეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია);

თავდასხმა: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), გიორგი ბერიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია).

მონღოლეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ჩვენი გუნდი 25 მარტს გამართავს, 28 მარტს კი საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში ნორვეგიას დაუპირისპირდება. ორივე მატჩი ბათუმში გაიმართება, სადაც ჩვენი გუნდი 24 მარტს გაემგზავრება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნინო სურგულაძე: „ჩვენ ერთად ყოველთვის ყველაფერი შეგვიძლია“



ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე დარწმუნებულია, რომ ჩვენ ერთად ყოველთვის ყველაფერი შეგვიძლია:

– ბოლო საქველმოქმედო კონცერტის დროს, რომელიც მისი უწმინდესობის იუბილეს მიეძღვნა, განვაცხადეთ, რომ დავეხმარებოდით ქართველ მძიმედ დაავადებულ ბავშვებს, ასევე თურქეთში მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს. თურქეთის საელჩოსთან კონსულტაციით გადაწყდა, რომ არის საბნების საჭიროება, რომელიც ფონდმა „ნატვრის ხემ“ უკვე შეიძინა და საელჩოს დახმარებითვე თურქეთში გააგზავნა.

კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო პარტნიორებსა და თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ჩაერთო და მონაწილეობა მიიღო ტელემარათონში, თუნდაც ის 1 ლარი იყო და არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მოგვიანებით ასევე გაცნობებთ ჩვენი ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას, ოპერაციის შედეგებს. ჩვენ ერთად ყოველთვის ყველაფერი შეგვიძლია. ასეც გაგრძელდება. მიყვარხართ.

დემნა: „დიდი შეცდომა დავუშვი“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მიიჩნეოდა და მგონია, საკითხის აღქმაში გარკვეული როლი ამანაც ითამაშა. ჩათვალეს, რომ შესაძლოა მორიგი ხერხი იყო ყურადღების მისაპყრობად.

ცხოვრებაში ბევრი მტკივნეული ეტაპი გამივლია, მაგრამ ეს განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა და ცხოვრებისეული გაკვეთილიც მივიღე. შეცდომებზე სწავლის შედეგად ამ საკითხში ცნობიერების ამაღლებასა და პრობლემის გადაჭრაში წვლილის შეტანასაც ვაპირებ. არაკომერციულ ორგანიზაციასთან დავიწყეთ რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა, რაც, ვფიქრობ, არაჩვეულებრივია, რადგან ეს პარტნიორობა ტრავმის გადალახვის პროცესში და ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით ათასობით ბავშვს დაეხმარება. მთელ ამ საშინელ სიტუაციაში ეს არის ის, რაც მაბედნიერებს: რაღაც კარგის გაკეთება.

სამწუხაროდ, ბალენსიაგას მთელი ოჯახი პრობლემის წინაშე დადგა. ვიცი, რომ მოდის სახლის ბევრი თანამშრომელი იტანჯება შექმნილი ვითარებით. ისიც ვიცი, რომ ეს მტკივნეული იყო არაერთი ადამიანისთვის, რომლებსაც ბრენდი უყვართ. ამ გამოცდილებამ მაიძულა, ბევრი რამისთვის გადამეხედა – როგორ ვმუშაობთ, ვქმნით, ვამყარებთ კომუნიკაციას ვიზუალური გამოსახულებების საშუალებით, ვახდენთ ინტეგრაციას აუდიტორიასთან და როგორ ვსწავლობთ დაშვებულ შეცდომებზე და მივიწევთ წინ.

ყოველთვის მჯეროდა, რომ ცხოვრებისეულმა სირთულეებმა გამზარდა და განმავითარა. ეს კი ყველაზე დიდი სირთულე აღმოჩნდა. გასული წლის დეკემბერი უმეტესად ჭრასა და კერვას დავუთმე. ისევ იქ დავბრუნდი, საიდანაც დავიწყე. თავი შევავფარე იმას, რისი კეთებაც მიყვარს. მივხვდი, რომ ეს ძალიან მომენატრა და თავს ბედნიერად მაგრძნობინებს. დეკემბრიდან ბევრი იდეა მარტის ჩვენებაზე იქნება წარმოდგენილი.

მე, როგორც კრეატიული დირექტორი, ამიერიდან ყველაფერს თვალსაწიერში ვიქონიებ. აქამდე უფრო ინსტინქტურად ვმუშაობდი, ვაკეთებდი რაღაცას, რაც შეიძლებოდა პროვოკაციულად ყოფილიყო აღქმული მხოლოდ იმიტომ, რომ ის სახალისოდ მიმაჩნდა. ახლა ჩემი მუშაობის მეთოდი შეიცვლება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მოუხელთებელი მელა, სახელად რემბო, მონადირეებს ოთხი წელი ასულელებდა

ავსტრალიაში გამოაცხადეს, რომ ახალი სამხრეთ უელსის შტატში პილიგას ნაკრძალიდან გაუჩინარდა მელა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ასულელებდა მონადირეებს და იშვიათი სახეობის ცხოველებს ანადგურებდა.

მოუხელთებელ მტაცებელს რემბო შეარქვეს, ვინაიდან ის უკანასკნელი მტაცებელი იყო შემოღობილი ნაკრძალის ტერიტორიაზე და რომლის დაჭერაც ვერ ხერხდებოდა. მელას აქტიურად იმის გამო ეძებდნენ, რომ პილიგას ნაკრძალში ბინადრობენ გადაშენების პირას მყოფი ავსტრალიური ცხოველები, მათ შორის ჯუჯა კენგურუ.

მელა ოსტატურად უვლიდა გვერდს სხვადასხვა მისთვის დაგებულ მახეს და თავს არიდებდა მასშტაბურ ნადირობას, რომელიც მასზე ხორციელდებოდა 55 დღის განმავლობაში მეძებარი ძაღლების მონაწილეობით. გარდა ამისა, რემბო თითქმის არ ხვდებოდა ფოტოხაფანგების ობიექტივებში. როდესაც ის ადამიანების მიერ დადგმულ კამერას აღმოაჩენდა, მას ამის შემდეგ ყოველთვის გვერდს უქცევდა.

კვალის მაძიებელმა ჯეიმს სტივენსმა ასეულობით კილომეტრი გაიარა ნაკრძალის ტერიტორიაზე მელიის მისაგნებად, თუმცა – წარუმატებლად.

– არავის მოსწონს წაგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეტოქეს შენზე ორჯერ უფრო პატარა ტვინი აქვს, – განაცხადა ხუმრობით ავსტრალიელმა.

ნაკრძალის თანამშრომლების თქმით, რემბო ფოტოხაფანგების ობიექტივებში 2022 წლის 9 ოქტომბრის შემდეგ აღარ მოხვედრილა, ხოლო მონადირეებს მისი ახალი ნაკვალევი აღარ აღმოუჩენიათ. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მელა ოქტომბრის ბოლოს წყალდიდობის დროს დაიღუპა.

განძის მაძიებელმა ბეჭდის ძებნაში ექვსი საათი ზვიგენების გარემოცვაში გაატარა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის ქალაქ ფორსტერის მკვიდრმა განძის მაძიებელმა ოჯახური წყვილის მიერ დაკარგული ბეჭდის ძებნაში ექვსი საათი ზვიგენებით სავსე მდინარეში გაატარა.

მაიკ და ჯოანა ვინკებმა საქორწინო ბეჭედი ქალაქ სიდნეისთან, მდინარე პარამატაზე იახტით სეირნობის დროს დაკარგეს. ისინი შიშობდნენ, რომ მათთვის ძვირფასი სამკაული საბოლოოდ დაიკარგა. 100 წლის წინ დამზადებული საქორწინო ბეჭედი მათთვის სამახსოვრო იყო. ისინი უკვე 40 წელია, ქორწინებაში იმყოფებიან. ორი წლის განმავლობაში მათ ბევრი მყვინთავი დაიქირავეს სამკაულის მოსაძებნად, თუმცა უშედეგოდ.

განძისმაძიებელმა ნიკ რიჩარდსმა საკუთარ თავზე აიღო მათი დაკარგული ბეჭდის მოძებნის საქმე. მან შეთავაზებული თანხის აღებაზე უარი განაცხადა და, მისი თქმით, უდიდეს სიამოვნებას მოუტანდა კუთვნილი ნივთის მათთვის დაბრუნება.

რიჩარდსმა და მისმა მეგობარმა ექვსი საათი გაატარეს მდინარის ფსკერზე ლითონმაძიებელი მოწყობილობით ბეჭდის ძებნაში და საბოლოოდ მას 25 სანტიმეტრის სიღრმეზე, ფსკერზე დალექილ შლამში ჩაფლულს მიაგნეს. განძისმაძიებლის თქმით, წყალი მეტისმეტად მღვრიე იყო და წყლის ქვეშ ორიენტირებას მხოლოდ ლითონმაძიებელი ხელსაწყოს ხმაზე ახერხებდნენ. როდესაც რიჩარდსმა ბეჭედს მიაგნო, ვინკამებს ჯერ მისი ფოტოსურათი გადაუგზავნა, შემდეგ კი – თავად სამკაულიც. ოჯახური წყვილი ისე გაახარა ამ ამბავმა, რომ მთელი ღამე სიხარულისგან თვალი არ მოუხუჭავთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ვილი სანიოლი: „პროგრესის გზაზე ვართ და ახლა ჩვენი გამოწვევა ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაა"

2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება და ფრანგული მედია თანამემამულის, ვილი სანიოლის მუშაობით დაინტერესდა.

სანიოლი საქართველოს ნაკრების თავკაცია და მისი ინტერვიუ იმიტომ იყო საინტერესო, რომ რამდენიმე „დამალული" ამბავიც გავიგეთ.

საქართველო

„ბაიერნის სამწვრთნელო შტაბში მუშაობის შემდეგ რადიოს კონსულტანტი ვიყავი, რამაც საშუალება მომცა საფეხბურთო სამყაროში მიმდინარე მოვლენებისთვის თვალი მედევნებინა. როდესაც საქართველოდან წინადადება მივიღე, ქვეყანაზე, იქაურ ფეხბურთზე ძალიან ცოტა რამ ვიცოდი. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს საქართველოში ნამყოფი ვიყავი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი დამიკავშირდა, რომელსაც ჯერ კიდევ ბუნდესლიგიდან ვიცნობდი. მის წინადადებას ძალიან სწრაფად დავთანხმდი. მომეწონა პროექტი, რომელშიც საკმარისი დრო მექნებოდა გუნდის ასაშენებლად. ბევრი არ მიფიქრია ორწლიან კონტრაქტზე, რომელიც რამდენიმე კვირის წინ კიდევ ორი წლით გახანგრძლივდა.

წლის განმავლობაში 7 თვე თბილისში ვცხოვრობ, რადგან, როგორც მწვრთნელისთვის, მნიშვნელოვანია ქვეყნის, მისი კულტურის, ტრადიციების ცოდნა და ფეხბურთელების უფრო ახლოს გაცნობა. ეგ კი არა, შევეცადე, შემესწავლა ქართული ენა, მაგრამ თავად ფეხბურთელებმა მირჩიეს, განზრახვაზე ხელი ამეღო! ქართველებს დამწერლობა საკუთარი აქვთ და საკმაოდ რთული ჩანს.

ჩემი საქმე ჩემპიონატისა და ევროთასების მატჩებზე დასწრებაა. საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა, უდიდესი კულტურით, იქაურები თბილი და გულღია ადამიანები არიან. როდესაც თამაშებზე პროვინციებში მიხდება გასვლა, კარგად აღვიქვამ ამ პატარა ქვეყნის სილამაზეს. რაც შეეხება თბილისს, მართლაც ძალიან ლამაზი დედაქალაქია, ძალიან სასიამოვნო და დინამიკური. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა – იქ გაქვს იმის ფუფუნება, გასაღები ავტომობილის კარში დაგრჩეს.

ქართველი ფეხბურთელები

საქართველოში ფეხბურთი უყვართ და ბოლო შედეგებიდან გამომდინარე, მოლოდინიც გაიზარდა. წნეხის ქვეშ ნამდვილად ვარ და ამ კუთხით საქართველო სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს მაგონებს. თუმცა, ეს ჩემთვის პრობლემა არ არის. პირიქით – წნეხის გარეშე შედეგი არ იქნება. როდესაც მუშაობა დავიწყე, ხალხი ჩემში ბაიერნის ყოფილი ფეხბურთელს ხედავდა, ახლა კი, ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ.

ქართველი ფეხბურთელები ტექნიკური შესაძლებლობებით გამოირჩევიან. ამიტომაც არის, რომ გუნდს 3-მცველიანი ტაქტიკითა და შემტევი ფლანგებით ვათამაშებ. ჩემი მისვლის შემდეგ გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო, რადგან სწრაფი და გამძლე ელემენტები გვჭირდება, რათა თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის რამდენიმე ადგილობრივი ჩემპიონატის საუკეთესო გუნდებში თამაშობენ.

რასაც კვარაცხელია იტალიაში აკეთებს, ექსტრაორდინარულია. მისი წყალობით, ინტერესი გაზრდილია ქართველი მოთამაშეების მიმართ, განსაკუთრებით საფრანგეთში. მახსოვს, როდესაც რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ უკლუბოდ იყო და რამდენიმე ფრანგულ კლუბს მისი აყვანა შევთავაზე, მაგრამ არ ისურვეს. კვარაცხელიამ ნაპოლიში გადასვლამდე რამდენიმე თვე დინამო ბათუმში გაატარა, დღეს კი ვხედავთ შედეგს. ახლა ფრანგული კლუბებიდან მირეკავენ, რათა ინფორმაცია მივაწოდო. მიდგომა შეიცვალა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა სულ 3,7 მილიონია. შედეგად, ფეხბურთელთა რაოდენობა შეზღუდულია და ევროპის ტოპ-5 ლიგის შესაფერისი დონის ფეხბურთელის მოძიება იოლი არ არის.

ევრო 2024-ის შესარჩევზე

მიხარია, რომ გულშემატკივრები და ფეხბურთელები გვიბრუნდებიან. ბოლო მატჩში, მაროკოსთან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და იმათი გამოძახება მომიწია, რომლებიც ისვენებდნენ.

ნორვეგიასთან მატჩამდე მონღოლეთს ვეთამაშებით. ფედერაციას ვთხოვე, ჩვენზე სუსტი მეტოქე შეერჩია, რადგან მინდა, კონკრეტულ ფეხბურთელებს შანსი მივცე.

ჩვენი პრიორიტეტი ნორვეგიასთან მატჩია. ვიცით, რომ ჩვენს ჯგუფში მთავარი ფავორიტი ესპანეთია. ნორვეგიას ჰყავს ჰალანდი (ამ ინტერვიუს დროს ჰალანდის ტრავმის ამბავი ცნობილი არ იყო), სხვა კარგ ფეხბურთელებთან ერთად. არის კიდევ შოტლანდია და ვიცი, რას ნიშნავს გლაზგოში თამაში. არ შეიძლება კვიპროსის დაუფასებლობაც. არ ვამბობ, რომ კვალიფიკაციის დაძლევის შანსი არ გვაქვს. თუ ტრავმებს ავირიდებთ და ფეხბურთელთა 18-20-კაციანი ჯგუფი ჩემს განკარგულებაში იქნება, მჯერა, რომ მეტოქეებს პრობლემებს შევუქმნით.

შვედეთს ბათუმში მოვუგეთ (2:0), სტუმრად საბერძნეთთან ფრედ ვითამაშეთ (1:1), ესპანეთმა კი თბილისში ბოლო წუთებზე მოგვიგო (1:2). ერთ თამაშში შეიძლება ნებისმიერს აჯობო, მაგრამ, როდესაც საქმე საკვალიფიკაციო ტურნირს ეხება, აქ ყველაფერი გაცილებით რთულია, განსაკუთრებით ფიზიკური თვალსაზრისით.

ერთა ლიგაზე შემტევი ფეხბურთი ვაჩვენეთ. 5-დან ოთხი თამაში მოვიგეთ. ჩრდილოეთ მაკედონია, გუნდი, რომელმაც იტალია მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დატოვა და ჩვენ ევროპაზე არ გაგვიშვა, ორჯერ დავამარცხეთ. საქართველოს ნაკრები წარმატებას აღწევს, რაც თავდაჯერებულობასა და მოტივაციას ზრდის. პროგრესის გზაზე ვართ და ახლა ჩვენი გამოწვევა ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაა.

მომავალზე

გარწმუნებთ, კარიერული გეგმები საერთოდ არ მაქვს. პანდემიის პერიოდში ფიქრისთვის დრო, სხვების მსგავსად, მეც ბევრი მქონდა და ვფიქრობდი იმაზე, რა მჭირდება ბედნიერებისთვის. საკითხს მარტივად ვიყურებ და საკუთარ თავს ვეუბნები – თუ თავს საქართველოში ბედნიერად გრძნობ, ე.ი. იქ უნდა დარჩე".

ეს არის ვილი სანიოლის ინტერვიუ, სადაც რამდენიმე საინტერესო ფრაზაც ამოვიკითხეთ, რომლის გარჩევა გზადაგზა აუცილებლად მოგვიწევს...

მამუკელაშვილმა შანსი გამოიყენა



სანდრო მამუკელაშვილმა სან ანტონიოში გადასვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 23 წლის ქართველმა ფორვარდმა თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე გატარებულ 25:20 წუთში 20 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ტეხასელებმა კი ნიუ ორლეანში უშანსოდ წააგეს – 84:119. მამუკელაშვილისთვის სან ანტონიოში აქამდე საუკეთესო შედეგი 12 ქულა იყო.

სან ანტონიოს ფლეიოფში გასვლის შანსი დაკარგული აქვს, ხოლო ნიუ ორლეანი იქ მოსახვედრად იბრძვის და გამარჯვებაც ჰაერივით სჭირდებოდა. სან ანტონიოს ლეგენდარული მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი კი გუნდს სამომავლოდ აშენებს და, როგორც ჩანს, მისი პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი კალათბურთელია.

ქართველი ლეგიონერიც უმართლებს და მასზე გაცემული ავანსების უმეტესობას ამართლებს. მთლიანობაში, სანდრომ ორქულიანებიც (8-დან 4) და სამქულიანებიც (6-დან 3) 50%-იანი სიზუსტით ესროლა, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან სამივე ტყორცნა ზუსტად გამოიყენა. სანდრო 20 ქულით სან ანტონიოში საუკეთესო იყო.

სანდრო მამუკელაშვილი მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე წარდგა:

– რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გვაკლდა, მაგრამ მაქსიმალურად ვეცადეთ, ბრძოლაში დავრჩენილიყავით და მეტოქისთვის წინააღმდეგობა გაგვეწია. ერთმანეთის რწმენა არ დაგვიკარგავს. ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს. რა სიტუაციაშიც არ უნდა იყო, ბოლომდე თამაშია საჭირო.

რაც შეეხება ჩემს თამაშს, ამას თავისი ახსნა აქვს. ნბა ის ლიგაა, სადაც უდიდესი კონკურენციაა. ამდენად, როდესაც შანსი გეძლევა, მის გამოსაყენებლად ყველაფერი უნდა გაიღო. სპურსის სასტარტო ხუთეულში მხოლოდ მეორედ გამოვჩნდი და საშუალება მომეცა თავისუფლად მეთამაშა, თუნდაც შეცდომები დამეშვა. თუმცა, ამ შეცდომებისგანაც ხომ ბევრს ვსწავლობთ. ამ შანსისთვის ნამდვილად მადლობელი ვარ.

მილუოკისთან მომდევნო მატჩი? ცხადია, ის ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში პირველი ნაბიჯები ხომ იქ გადავდგი. სწორედ მათ მომცეს შესაძლებლობა, რომ პლანეტის საუკეთესო კალათბურთელებთან ერთად მეთამაშა. მილუოკიში დაბრუნება ჩემთვის მართლაც გამორჩეული იქნება, ბობის, დრუს, იანისს, კრისსა და სხვებს ვნახავ. მათთან შეხვედრას მოუთმენლად ველი და ვიცი, რომ ისინიც მელოდებიან.

სან ანტონიო დასავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა, მე-14 ადგილზეა (19 მოგება, 53 მარცხი). პოპოვიჩის გუნდი მომდევნო მატჩს 23 მარტს მამუს ყოფილ გუნდ მილუოკისთან გამართავს.

გუშინ დილასვე წააგო ორლანდო მეჯიქმა 122:112, შინ ვაშინგტონი დაამარცხა. ამ გამარჯვებაში მონაწილეობა არ მიუღია გოგა ბითაძეს, რომელიც მწვრთნელმა ისევ სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

ორლანდოელები 30 მოგებითა და 43 მარცხით კონფერენციაში მე-13 ადგილზე არიან და ფლეი ოფის ზონას 4 მოგებით ჩამორჩებიან. მომდევნო მატჩს კი შინ ნიუ იორკ ნიკსთან ჩაატარებენ.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან უკვე გასულმა ტენერიფემ ბოლო ტურის მატჩში თურქულ დარუშაფაკას უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 75:71 მოუგო.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა გიორგი შერმადინმა პარკეტზე 14 წუთი გაატარა, რა დროშიც 13 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. გიორგიმ 6-დან 5 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

ტენერიფემ პირველი ტაიმი 11 ქულით წააგო, მაგრამ შეხვედრის შეტრიალება მოახერხა და ამით საქმე თანაჯგუფელ მურსიას გაუკეთა, რომლის ღირსებასაც საქართველოს ნაკრების 2 წევრი – რატი ანდრონიკაშვილი და თად მაკფადენი იცავენ.

მურსია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში სტუმრად თანამემამულე ბილბაოს ეთამაშებოდა და, გამარჯვების შემთხვევაში, შემდეგ ეტაპზე გადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ბილბაო 7 ქულით წინ გავიდა, მურსიამაც შეძლო შეხვედრის შეტრიალება და 4 ქულით მოიგო – 71:67.

მაკფადენს მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია, ხოლო ანდრონიკაშვილმა გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

22 წლის ქართველმა უკანახაზელმა მოედანზე 14:42 წუთი გაატარა, რა დროშიც 4 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი დააგროვა. რატიმ 4-დან 1 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

მურსია ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა, პირველი ადგილი კი შერმადინის ტენერიფემ დაიკავა. ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე 16 გუნდი ითამაშებს, რომლებიც 4 ჯგუფში იქნებიან გადანაწილებულნი.

ფიგურულ მოციგურავეთა ცუდი დასაწყისი

იაპონიის ქალაქ საიტამაში დაიწყო ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველოს დელეგაცია ორ დისციპლინაში გამოვიდა და ორივეში სუსტად იასპარეზა. კარინა საფინამ და ლუკა ბერულავამ სპორტულ წყვილებში მოკლე პროგრამა შეასრულეს და 23 მონაწილეს შორის 60,98 ქულით მე-14 ადგილი დაიკავეს. ეს ფინალში გამსვლელი ადგილი კი არის, მაგრამ მეტს ველოდით. ამის მიზეზი იყო გასულ წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები მეოთხე ადგილი. თუმცა, ამჯერად ჩვენებმა პროგრამა ჩააგდეს.

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის გვერდზე კარინა საფინას კომენტარი გამოქვეყნდა:

– მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდი ძალიან რთული იყო. ტრავმებიც მაწუხებდა, რის გამოც პერიოდულად ვარჯიშისგან თავის შეკავება გვიწევდა, რამაც ჩვენი პროგრესი მნიშვნელოვნად შეაფერხა. თუმცა, ციგურები ისევ უნდა ჩავიცვათ და ბოლომდე ვიბრძოლოთ.

მოკლე პროგრამის შემდეგ მე-11 ადგილზეა ანასტასია გუბანოვა. საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენმა, რომელიც წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ცუდად იასპარეზა. ანასტასიას იგივე შედეგი რომ ეჩვენებინა, რაც ევროპირველობაზე, მეექვსე შედეგს აჩვენებდა.

გუბანოვა ფინალში გავიდა და შედეგის გამოსწორებას თავისუფალ პროგრამაში ეცდება.

საქართველოს მოციგურავეთა ნაკრები იაპონიაში სოლიდური დელეგაციით არის ჩასული. საფინა-ბერულავასა და გუბანოვას გარდა, კაცებში მორის ყვითელაშვილი და ნიკა ეგაძე იასპარეზებენ, ხოლო ყინულზე ცეკვაში – მარია კაზაკოვა და გიორგი რევია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 3. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 4. დაბალი, საამო ხმით მღერა; 7. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 9. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. „ფორმულა-1"-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 15. ჟანგბადის რაოდენობის შემცირება ორგანიზმში; 17. ღვინისა და ლუდის მწარმოებელი ფირმა; 20. ცხვარი 6 თვიდან ერთი წლის ასაკამდე.

თარაზულად: 5. მდინარე გაგრაში; 6. გურიაში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. გემის სამზარეულო; 10. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 11. დედამიწის თანამგზავრი პლანეტა; 13. ძვირფასი მეტალი; 16. იტალიური ყველი; 18. შოკოლადის ხე; 19. მთავარი არტერია; 21. ქოთანში მზარდი მინიატურული ჩინური ხე; 22. ისტორიული მოედანი ლონდონში; 23. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰემლისი; 2. ბაბილონი; 3. პალაცო; 4. ფეოლა; 5. დინამიკა; 8. დიფუზორი; 12. პუმა; 13. სომბრერო; 14. ისინდი; 16. ვოლიერი; 18. ლაკმე; 20. ბაჟე.

თარაზულად: 6. ჰელვეცია; 7. ბლანშეტი; 8. დრაივი; 9. ჩიფსი; 10. ჰომეროსი; 11. ტრაპეცია; 15. ზომერჰოისი; 17. ფანხიო; 19. დრიბლინგი; 21. რეპლიკა; 22. კონსტებლი; 23. გეიმერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოტენცია; 2. ჰერში; 3. სტიუარდი; 4. ნაპოლი; 7. ფლუსი; 9. ამატი; 12. არითმეტიკა; 14. ჯორჯია; 15. კაბალიე; 17. რაფსოდი; 20. გუაში.

თარაზულად: 5. ფოლკნერი; 6. ლუტეცია; 8. კაშხალი; 10. ვესტერნი; 11. აილამა; 13. გეიმერი; 16. ჩიკანოსი; 18. პალმა; 19. უბისა; 21. ტუნისი; 22. კინტრიში; 23. ვიადუკი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

23 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5754

ევრო — 2.7778

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1644

100 რუსული რუბლი — 3.3407

ამინდის პროგნოზი 23 მარტისათვის

ფრენკი დე იონგმა ტრავმა მიიღო

ბარსელონის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, ორი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დე იონგს მუხლი აწუხებს, თუმცა დაზიანება სერიოზული არ არის. სავარაუდოდ ფრენკი მონაწილეობას მიიღებს 5 აპრილს ჩასატარებელ ელ-კლასიკოში, თუმცა ეს სარეაბილიტაციო პროცესზე იქნება დამოკიდებული.

ტონი კროოსმა შესაძლოა სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულოს

მადრიდის რეალის გერმანელმა ნახევარმცველმა ტონი კროოსმა შესაძლოა სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულოს, რადგან, გერმანელის თქმით, მას სულ უფრო და უფრო უჭირს კვირაში ორჯერ თამაში. გარდა ამისა, კროოსს გერმანიაში ცხოვრება სურს და უკვე სამწვრთნელო კარიერაზე ფიქრობს. მიუხედავად ამისა, ტონის საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ის ამას სეზონის ბოლოს გააკეთებს.

დიეგო სიმეონე ატლეტიკოდან წასვლას არ აპირებს

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ ატლეტიკოდან წასვლას არ აპირებს და შესაძლოა გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს. სიმეონეს თქმით, მას ჯერ კიდევ აქვს ატლეტიკოში საქმე გასაკეთებელი: „მინდა, რომ ატლეტიკოსთან ერთად ტიტულები მოვიგო და ამ გუნდიდან წასვლას არ ვაპირებ. არ ვიცი, ჭორებს ვინ იგონებს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დედიშობილა გაცურვაში 1300-მა ნუდისტმა მიიღო მონაწილეობა

დაახლოებით 1300-მა ნუდისტმა მიიღო მონაწილეობა ყოველწლიურ უდიდეს დედიშობილა გაცურვაში, რომელიც ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ სიდნეიში გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სამწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ პირველად გაიმართა. ამჯერად მისი მონაწილეების რაოდენობა 2018 წლის გაცურვაში მონაწილეთა რაოდენობას ჩამორჩებოდა. მაშინ დედიშობილა გაცურვაში რეკორდული რაოდენობის 2505-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამის მიუხედავად, ღონისძიების ორგანიზატორმა ტანია ტეილორმა განაცხადა, რომ ბედნიერი იყო იმით, რომ სამწლიანი შესვენების შემდეგ გაცურვა ისევ გაიმართა.

მან იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელს აღნიშნულ ღონისძიებაში კიდევ უფრო მეტი ავსტრალიელი მიიღებს მონაწილეობას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ირუ ხეჩანოვი ბარსელონაში იმღერებს

„ევროვიზია 2023“-ზე საქართველოს წარმომადგენელი ირუ ხეჩანოვი ევროვიზიამდე ევროპის რამდენიმე ქალაქში იმღერებს. ის რამდენიმე პრეფართში მიიღებს მონაწილეობას.

პრომოტურის ფარგლებში მომღერალი 25 მარტს – ბარსელონაში, 3 აპრილს – თელ-ავივში, 8 აპრილს კი მადრიდში ჩავა. ირუ ხეჩანოვი უცხოელი მაყურებლის წინაშე წარდგება და ევროვიზიის საკონკურსო სიმღერა „ექოს“ შეასრულებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 მარტისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **მუსაები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანცელი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **ვერცხლი** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ჩემი კომპიუტერი არ მუშაობს.

– დიდ ღილაკს თითი მიაჭირე?

– მივაჭირე.

– შტეფსელში შეაერთე?

– დაიცა ერთ წამს, ფანარს ავიღებ და ვნახავ.

– ფანარი რად გინდა?

– შუქი არ არის...

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– რას აკეთებდით, სანამ ცოლს მოიყვანდით?

– რას, რას... რას და, რასაც მოვისურვებდი, ყველაფერს!

●●●

დაქალები საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– ის მშვენიერი ყმაწვილი როგორ გაიცანი?

– არ დაიჯერებ და ერთად გაგვეღვიძა.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, ჰოროსკოპით ვინ ხართ?

– თევზები და თქვენ?

– მეთევზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცოტნე ზედგინიძემ „მეცოს“ საიუბილეო კონცერტზე დაუკრა

ვუნდერკინდმა პიანისტმა და კომპოზიტორმა ცოტნე ზედგინიძემ მონაწილეობა მიიღო სახელგანთქმული ტელეარხის „მეცოს“ საიუბილეო გალაკონცერტში. პარიზში ჩატარებულ ღონისძიებაზე მუსიკოსმა ათასობით მსმენელისთვის თავისი ნაწარმოები შეასრულა.

სასიხარულო ინფორმაცია ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:

– ჩვენმა ცოტნემ მონაწილეობა მიიღო სახელგანთქმული ტელეარხის „მეცოს“ საიუბილეო გალაკონცერტში. ამ ძალიან პრესტიჟულ პროგრამაში მისი წარმდგენი დანიელ ბარემბოიმი გახლდათ. იუთუბზე მოცემულია ფრაგმენტი, სადაც ცოტნე თავის მუსიკას ასრულებს პარიზის მსმენელისა და ყველა ქვეყნის ტელემაყურებლისათვის.

გიორგი კვანჭიანმა ქართული ცეკვის ილეთით გინესის რეკორდი დაამყარა

ქართველმა მოცეკვავე გიორგი კვანჭიანმა იტალიის ქალაქ მილანში ქართული ცეკვის ილეთით, მუხლზე ტრიალით, გინესის რეკორდი დაამყარა.

გინესის რეკორდის დამყარება გიორგიმ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით აღნიშნა – საყვარელ ქალს საჯაროდ სცენაზევე სთხოვა ხელი და თანხმობაც მიიღო.

დათა თავაძე რიგაში „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამს

რეჟისორი დათა თავაძე ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეს“ რიგაში დგამს.

პრემიერას მაყურებელი 24 მარტს დაილეს თეატრში იხილავს. რეჟისორი შემოქმედებით ჯგუფთან ერთად უწყვეტ რეპეტიციებს გადის და მაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

დათა თავაძესთან ერთად სპექტაკლზე კიდევ ერთი ქართველი – კომპოზიტორი ნიკა ფასური მუშაობს, რომელიც „კავკასიურ ცარცის წრეს“ მუსიკალურად გააფორმებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დემნა: „დიდი შეცდომა დავუშვი“

მსოფლიოში აღიარებული ქართველი დიზაინერი დემნა ამერიკული „ვოგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საკუთარ შეცდომებსა და სიახლეებზე საუბრობს:

– 2023 წლის გაზაფხულის კამპანიის – ნიკოლ კიდმანის, იზაბელ იუპერისა და ბელა ჰადიდის მონაწილეობით – ინსპირაცია გასულ წელს ნიუ იორკში უოლ სტრიტზე გამართული ჩვენებიდან მომდინარეობდა. მინდოდა, ის ნიუ იორკის ტიპურ კორპორატიულ გარემოში ყოფილიყო გადაღებული. ვნახე მაგალითი, თუ როგორ მოეწყობოდა ოფისები, გავეცი ნებართვა ავეჯზე, რომელიც უნდა გამოეყენებინათ და განვიხილე, თუ როგორ უნდა ეპოზიორათ მოდელებს. იქიდან გამომდინარე, რომ გადაღებებს არასდროს ვესწრები, მე შედეგები წარმომიდგინეს, რათა ის ფოტოები ამერჩია, რომლებიც ფოტოგრაფის გაკეთებული სელექციიდან ყველაზე მეტად მომეწონებოდა.

„საჩუქრების მაღაზიის“ კამპანიას ბავშვების მონაწილეობით 2023 წლის გაზაფხულის კამპანიასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ისინი სხვადასხვა დროს არის გადაღებული, ერთი – ოქტომბერში, მეორე კი – ივლისში. კამპანიის მიზანი წლის ბოლოს მოახლოებულ დღესასწაულებთან დაკავშირებული ნივთების ხაზის რეკლამირება იყო. ის მრავალ ისეთ პროდუქტს მოიცავდა, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ საჭირო იყო ერთი კონცეფციის შემუშავება, რათა ამდენი განსხვავებული პროდუქტი ერთად გადაგვეღო. სელექციის ნაწილი იყო ბავშვის ხაზი და ასევე დათუნიას ფორმის ჩანთები. იმიჯზე პასუხისმგებელმა გუნდმა ამ კამპანიისთვის ფოტოგრაფი გაბრიელ გალიმბერტი შემომთავაზა, რადგან წლის დასაწყისში, როდესაც მისი ნამუშევრები მანახეს, მომეწონა ფოტოებზე ასახული კომპოზიცია და მისი სახელი იმ ტალანტების ფაილში მოხვდა, რომლებთან თანამშრომლობასაც სამომავლოდ განვიხილავდით.

ამ ფოტოგრაფის ფოტოებზე ხშირად აღბეჭდილი იყო ოთახი, სადაც გარშემო მრავალი სათამაშო იყო მიმობნეული, ცენტრში კი ბავშვები იდგნენ. ვიფიქრეთ, რომ ეს კონცეფცია საშუალებას მოგვცემდა, „საჩუქრების მაღაზიიდან“ სხვადასხვა სახის ნივთები ერთ სურათში წარმოგვედგინა და არ მოგვიწევდა თითოეულის საჩვენებლად 100 ფოტოს გადაღება.

ჩემმა შეცდომამაც აქ იჩინა თავი. დიდი შეცდომა დავუშვი. ვერ გავაცნობიერე, რამდენად შეუფერებელი იქნებოდა იმ ნივთების ბავშვებთან ერთად გადაღება. სამწუხაროდ, ეს არასწორი იდეა და ჩემი მხრიდან მიღებული ცუდი გადაწყვეტილება იყო. ფოტოებზე ბავშვებთან ერთად არ უნდა გადაგვეღო ნივთები, რომლებსაც მათთან კავშირი არ ჰქონდა და არ შეეფერებოდათ.

ზრდასრულების კამპანიაში გამოყენებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით კი შემიძლია გითხრათ, რომ პირველად გვითხრეს, დოკუმენტები ყალბიაო. „საჩუქრების მაღაზიის“ კამპანია განსხვავებული შემთხვევა იყო, რადგან ბავშვების იმ ნივთებთან ასოცირება ნამდვილად ჩვენი შეცდომა იყო. როდესაც მეორე კამპანიაში დოკუმენტებისა და ატრიბუტების გამო სკანდალი ატყდა, მეც შოკირებული ვიყავი. არ ვიცი, ისინი იქ როგორ მოხვდა. მათი ადგილი იქ არ იყო. დანამდვილებით შემიძლია თქმა იმისა, რომ ეს არც ჩემგან და არც ბალენსიაგასგან წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა. თუ ეს სხვა ვინმემ განიზრახა, არ ვიცი.

საშინელი რამეები მიწოდეს, რაც სიმართლეს არ შეეფერებამება, არც ბალენსიაგას შემთხვევაში. რთული იყო, ამ საშინელებასთან ერთად, ბავშვთა ჩაგვრასთან არსებულ პრობლემასთან ასოცირებული რომ გავხდი. შეცდომები დავუშვით და მათზე პასუხისმგებლობაც უნდა ავიღოთ. არასდროს მდომებია, ასეთ თემას არასერიოზულად მივდგომოდი. ეს ვის უნდა? ვიცი, რომ აქამდე ჩემი შემოქმედების ბუნება ზოგჯერ პროვოკაციულად

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 2. პირველი კოსმონავტი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 14. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 16. ხეობა საქართველოში; 18. პოემა „ბახტრიონის“ პერსონაჟი; 20. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

თარაზულად: 6. იტალიის პრეზიდენტი; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო გაიანას დედაქალაქი; 21. ფრანგული იავნანა; 22. „ნატოს“ სამხედრო ბაზა გერმანიაში; 23. სასტუმროს ერთ-ერთი სახეობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა